# საერთო გაზეთი

№13 (325) ● 8 აპრილი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

## ხელისუფლებამ აღკვეთა ირაკლი ალასანიას პროვოკაციული ინიციატივა, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნილიყო



## ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის






**დავით გაგნიძე:**

## ვინც ხარძიანი მოკლა, ის უდესიანის მტერიცაა...





# `ugvamo due l i~


შალვა აბულაძე

„საერთო გაზეთი“ პოლიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილი შალვა („შალალო“) აბულაძის სკანდალურ ჩანაწერებს გთავაზობთ. ჩანაწერები, საერთო სათაურით „უგვამო დუელი“ რედაქციას პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ქეთევან ზარნაძემ მიაწოდა, რომელმაც „ნაციონალური“ რეჟიმის დროს შვიდი წელი საპატიმროში გაატარა.

## შალვა აბულაძე – მანიაკი მკვლელი თუ „ნაცმოძრაობის“ სასტიკი რეჟიმის მსხვერპლი?

# saqarTvelo _ suramis cixe



**„რა ძნელი მისახვედრია, რომ თქვენ, ვინც ციხის შიგნიდან გატეხვას ცდილობთ, სინამდვილეში ღარიბაშვილს კი არა, პირველ ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილს ებრძვით“**

ზოგიერთებს ჰგონიათ, საქართველო სურამის ციხეა, რომლის კედლებში დროგამოშვებით ვიღაცები თუ არ ჩაატანე, ისე არ აშენდება.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იმდენი ადამიანი ჩავატანეთ ამ ციხის კედლებში, წესით და რიგით, კედლები კარგა ხნის ამოყვანილი უნდა იყოს მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობის სულ სხვაა.

თითქოს წარმართობის დროინდელი ინსტინქტები მოგვყვა XXI საუკუნემდე — მსხვერპლშეწირვის დაუოკებელი ჟინით ვართ შეპყრობილი და აუშენებელი ციხის კედლებში ჩასაკირად ახალ-ახალ კანდიდატებს ვეძებთ.

**ახლა ირაკლი ღარიბაშვილს დაადგეს თვალი ვიღაც-ვიღაცებმა და გგონიათ, მას თუ შეწირავენ მსხვერპლად და მასთან ერთად მისი ცოლის ნათესავებსაც მიაყოლებენ ზედ, სურამის ციხედ ქცეული საქართველო თვალის დახამხამებაში აშენდება.**

არადა, ასე თუ ისე გონიერი ყველა ადამიანი შესანიშნავად ხვდება, რომ ეს „მსხვერპლშეწირვაც“ არანაირ სასიკეთო შედეგს არ მოიტანს.

სასიკეთო შედეგი კი არა, პირიქით შეიძლება მოხდეს — კედელში გაჩენილი ნაპრალები კიდევ უფრო გაიზარდოს და ციხე წასაქცევად შეტორტმანდეს.

* * *

საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ქვეყანაში შექმნილი ყველა პრობლემა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ბრალია, დიდი უსინდისობა და, ამასთან ერთად, ფარისევლობით გაზავებული დიდი სიცრუეცაა.

ვინც ამას აკეთებს, ნებსით თუ უნებლიეთ, იმ „ნაცმოძრაობას“ უჭერს მხარს, რომელმაც ღარიბაშვილის და მთავრობის გადადგომის თემას სულ ორიოდე კვირის წინ მთელი მიტინგი მიუძღვნა.

— ისინი „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამენ წყალსო, მინდოდა მეთქვა, მაგრამ არ ვთქვი, რადგან „ნაცმოძრაობის“ წისქვილის ბორბალი წყალზე კი არა, ამ ბორბალზე მდინარედ მიშვებული უდანაშაულო ადამიანების სისხლზე ბრუნავდა და ბრუნავს დღემდე.



პროვოკაციული მცდელობა, როგორმე დაარწმუნონ ბიძინა ივანიშვილი, რომ მისი ფავორიტი, მის მიერ აღზრდილი ირაკლი ღარიბაშვილი გამზრდელს ღალატობს და ზურგსუკან სამარეს უთხრის, „ნაციონალების“ ბნელ გონებაში დაბადებული მზაკვრული სიუჟეტია, რომელსაც „წარმატებით“ ასხამს ხორცს მღვრიე წყალში ოქროს თევზის დაჭერაში დაოსტატებულ კალმოსანთა და ელექტრონული მედიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი.

ისინი თავგამოდებით ცდილობენ ღარიბაშვილის „მოღალატებრივი“ საქმიანობის მხილებით, ივანიშვილი „დაიცვან“ ღარიბაშვილისგან და ამასთან ერთად არც იმის აღნიშვნა ავიწყდებათ, რომ ამას ბატონი ბიძინასადმი განსაკუთრებული სიყვარულის და პატივისცემის გამო აკეთებენ თურმე.

ცუდად გცნობიათ თქვენ, პატივცემულებო, ბატონი ბიძინა, თუ გგონიათ, რომ ის თქვენგან გადმოგდებულ ამ ანკესს წაეტანება ან თქვენგან დაგებულ ამ კაკანათში შედგამს ფეხს.

ეს უკვე იმ დონის მავნებლობაა, ისეთი დიდი პროვოკაცია და, ამასთან ერთად, ისეთი შეურაცხყოფაა, ვფიქრობ, ამ ხმების გამავრცელებლებს სათანადო პასუხი უნდა მოსთხოვონ.

ვფიქრობ, „ნაციონალებზე“ ნაკლებად საშიშნი არ არიან ის ადამიანები, რომლებიც მოყვრის, ჭირისუფლის, გულშემატკივრის ნიღბით ცდილობენ „ქართული ოცნების“ ბანაკში შეპარვას და სიტუაციის შიგნიდან არევას.

საქართველოს მთავრობა ხშირად იწონებს თავს, ჩვენმა ხელისუფლებამ მედია გაათავისუფლაო.

რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ მედიის გათავისუფლება მედიის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაში არ უნდა გადაიზარდოს, რადგან პასუხისმგებლობისგან თავისუფალმა, კანონის ჩარჩოებიდან გამოსულმა მედიამ, ადვილი შესაძლებელია, დიდი ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს. ჩვენ ამის სამწუხარო მაგალითები საკმაოდ ბევრი გვაქვს ახლო წარსულიდან, თუმცა მათი გაანალიზება და შესწავლა არავის უცდია.



რა ძნელი მისახვედრია, რომ თქვენ, ვინც ციხის შიგნიდან გატეხვას ცდილობთ, სინამდვილეში ღარიბაშვილს კი არა, პირველ ყოვლისა, ბიძინა ივანიშვილს ებრძვით.

**არ ვიცი, რამდენად სწორია ეს, მაგრამ, როგორც გავიგე, ზოგიერთი იმასაც კი ბედავს, ვიღაც-ვიღაცები დააჯეროს, რომ ის ბიძინა ივანიშვილის ხმაა, რომ მის ზურგს უკან სწორედ ივანიშვილი დგას და რასაც წერს და ლაპარაკობს, მისი დასტურით წერს და ლაპარაკობს.**

დღეს ქართული მედია, თუ ყველა არა, მისი დიდი ნაწილი, ძალიან ჰგავს საიდანღაც შემოპარულ იდეოლოგიურ დესანტს, რომელიც კი არ აშენებს, არამედ ანგრევს, შლის, აპირისპირებს, პანიკას თესავს და ნელნელა ძირს უთხრის იმ საძირკველს, რომელზეც დგას ქართული სახელმწიფო.

თუ ასე გაგრძელდა, საქართველო მართლაც იქცევა მარადიულ სურამის ციხედ, რომელსაც აშენება არ უწერია...

**ვახტანგ ხარჩილავა**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა საქმოხელოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# კუდიანი ვარსკვლავი საქართველოს ცაზე

## (შტრიხები მათთვის, ვისაც სააკაშვილი ძალიან მოენატრა)



ეს იყო კუდიანი ვარსკვლავი საქართველოს ცაზე.

მას ჰქონდა ცბიერების ნიჭი, მაგრამ ბოლოს გაუგეს და გამოაშკარავება რომ იგრძნო, დაუფარავი ძალმომრეობით დაერია ყველას და ყველაფერს.

ისე ჩამოვიდა ქართული პოლიტიკის პიედისტალიდან, ერთი ნაბიჯით არ დაუხევია უკან უპატივცემლობის, უხამსობის, თავხედობისა და არავის არ ცნობის გზაზე. მას ჰქოდა მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა საქართველოში გლობალისტური პოლიტიკის გატარებისა და ამ გზაზე მას არ აინტერესებდა ქართველი კაცი და ქართული კულტურა, უფრო მეტიც, ეს ყველაფერი ესახებოდა დაბრკოლების ლოდად და სადაც კი ხელი მიუწვდა ყველაფერი გაანადგურა.

ის აშენებდა, მაგრამ არა ქართველთა უკეთესი ცხოვრებისათვის, არა ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის, არა სიყვარულის დამკვიდრებისათვის, აშენებდა თავისი ბლაგვი იდეების გამართლებისათვის, თავისი ძალადობის ხორცშესხმისათვის, სხვისი უბედურების ხარჯზე, დაურიდებლად, დაუნდობლად, ცინიზმითა და მხოლოდ თავისი ავზნიანი შეხედულების გათვალისწინებით.

მის სიმართლეს წარმოადგენდა ის რაც მისთვის იყო გამოსადეგი, არავითარი საწინაალმდეგო აზრი, არავითარი ოპონირება, იგი არ ცნობდა მოწინააღმდეგის აზრს, მისთვის უკანონობა იყო ცხოვრების წესი და გარბოდა მუდამ, რათა აეცილებინა კითხვები თავისი საქციელის გამო.

საქართველოს შუასაუკუნეების ქრონიკა გვამცნობს, რომ გორელმა ტერტერამ, გვარად სააკაშვილმა, მტრის მოახლოება დროულად შეატყობინა გორელებს და ქალაქი დაღუპვას გადაარჩინა. იმ თავისი შორეული წინაპრის რომ არაფერი გამოჰყოლია, ეს დროის მანძილით შეიძლება ავხსნათ, მაგრამ წერეთლების ტრადიციულ ოჯახში გაზრდილის თუ არა, მათ გარემოს ნაზიარებ კაცს საიდან მოსდიოდა ქართველი ხალხის მიმართ შეურაცხყოფის ასეთი ჟინიანი სურვილები, ესაა გამოსარკვევი.

კარგად იცოდა მხოლოდ ის, პატრიოტიზმით როგორ აეგდო ქართველები და"ნაციონალი" დაირქვა. აკი გაუმართლა - "ვჭამეთ" და ცხრა წელი ვაბატონეთ კაცი, რომელსაც ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა — საქართველო ექცია ბალაგანად, დანამატად, ეპიგონად, ხერხად და საშუალებად თავისი სახელის განდიდებისათვის.

ის ყიდდა ქართულ მიწებს, როგორც თავისას და




ექცეოდა ხალხს, როგორც პირუტყვებს. სხვა არ შეიძლება ეწოდოს მის მიერ განხორციელებულ უმკაცრეს რეპრესიებს ციხეში თუ ციხისგარეთ.

ის „პირველი ღამის უფლებით" სარგებლობდა ყველაფერში და მისი „სიმართლე" ამ უფლების უდიდესი ძალმომრეობით განხორციელება იყო.

მან უარყო სამართალი და მოსამართლენი აქცია მონებად: როცა მოესურვებოდა და როცა დაჭირდებოდა მაშინ დაიჭერდა, წაართმევდა, ცემდა, აწამებდა, გააუკუღმართებდა, სამისოდ შექმნა ისეთი ულმობელი სადამსჯელო მანქანა, რომელსაც ბოლშევიკური „ტროიკის" „სინდისიერებაც" კი არ გააჩნდა.

თავისი უხეში, გრძელი ნაბიჯებით დააბიჯებდა მთელ ქვეყანაში, სტუმრის რანგშიაც კი მოუსვენარი და წინმავალი. არავითარი ნიშანწყალი ჯიშისა და არისტოკრატიზმისა: ცხვირის შიშველი ხელით მხოცავი, ყმუილით მოცინარი, ბანჯგვლიანი მკერდითა და სქელი ბარკლებით საქართველოს კისერზე გადამჯდარი „ჰომო".

ის შეეხო ქართულ მიწას ისეთი თავხედობით, რომლის მსგავსი ჩვენმა ისტორიამ არ იცის. მან მოუნდომა გაყიდვა ერთ ბეწო კუნძულს ჩვენი არსებობისას, რომლის დაცვა-შენარჩუნების ისტორია არის ჩვენი ისტორია, სადაც აკაკი წერეთლის სიტყვით "ყოველი გოჯი ჩვენი წინაპრების სისხლითა და ძვლებითაა გაპოხიერებული". „წერეთლების ოჯახში გაზრდილს", როგორც თვითონ ამბობდა (როცა დასჭირდებოდა), როგორ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ ქართველი საკუთარი მიწის გარეშე არ არსებობს, რომ რაც სიკეთე და ღირსება გაგვაჩნია ეს ყველაფერი სამშობლო მიწიდანა გვაქვს მიღებული. ვაგლახ, რომ იცოდა და იმიტომაც მოინდომა მისი გასხვისება და შემოიტანა ქართულ სფეროში „ჯადოსნური" ცნება „ინვესტიცია", დამშეული მოსახლეობის სატყუარა - ოცნება ოქროს კოშკების შესახებ, უცხოელებმა, რომ უნდა აგვიგონ და ქართველებმა შორიდან ვუყუროთ.

მას შეეძლო შეემჩნია და გვერდში დაეყენებია თავის ბნელი სურვილების შესრულებისათვის ისეთი საჭირო პერსონები, რომელთა მენტალობის საერთომახასიათებელია, ყველაფერი ქართულის მიმართ ნიჰილიზმი. ასეთი კაცები უნახავს საქართველოს მაგრამ, მან გადააჭარბა ყველას და ყველაფერს და დააკანონა თავისი გამორჩეულობა როგორც მონობის საწინდარი. დასჭირდებოდა და ჰყვიროდა თავისი ქართველობის შესახებ, დაჭირდებოდა



და საქმით ფეხქვეშ გათელავდა ამ ცნებას.

ათასი ტომი დაიწერება და დაწერილიცაა სააკაშვილის დანაშაულებრივი მმართველობის შესახებ. განა ტომებად არ აწყვია მისი ხელისუფლების გაუგონარი დანაშაულების დამამტკიცებელი საქმენი, რა მოურჩენს ფიზიკურ და სულიერ იარებს ადამიანებს, ვინც სააკაშვილის ხელისუფლების ეს სისასტიკე გადაიტანა.

მან შექმნა სიცრუის მანქანა, რომლის მსგავსი არ ახსოვს ჩვენს ახალ ისტორიას. ხალხის მოტყუება და ამით ამაყობა იქცა სააკაშვილის გუნდის წევრთა წესად. მათ ერთდროულად დაადეს ხელი ამორალური ზნეობის კოდექსს და ერთმანეთს შეჰფიცეს თავისი ფიურერის უპირობო მხარდაჭერა და გამოამჟღავნეს უდიდესი ნება გვერდში დადგომოდნენ ხალხის წამებაში, (ციხე, კუდი, საგამოძიებო სამსახურები), ოჯახების ამოწყვეტაში, ახალგაზრდების ხოცვა-ჟლეტაში, საკუთრების წართმევაში, ბიზნესის დატერორებაში, ეროვნული ფასეულობათა განიავებაში, არჩევნების გაყალბებაში, სიცრუის ტირაჟირებაში, ქართული სკოლისა და მეცნიერების განადგურებაში და კიდევ სხვა და სხვა..

რომელია აქ ჩამოთვლილთაგან ისეთი, რომელსაც მე ვიგონებდე და არ მომხდარიყოს, რომელია აქ ჩამოთვლილთაგან ისეთი ძალადობა, რომლის საწინააღმდეგოდ ხმა ამოეღოს და პროტესტი განეცხადებინოს რომელიმე მათგანს. და, ახლაც, ეს უტიფარი სახეები პარლამენტში სხედან და ზნეობაზე ელაპარაკებიან ხალხს. არცერთ მათგანში არ გამკრთალა სინდისის სხივი, სხივი მონანიებისა და აღიარებისა, სხვისი ტკივილის განცდისა, სხვისი უბედურების დანახვისა. აი, გუნდური პრინციპი და მხარდაჭერის ერთგულება უზნეობისა და უსამართლობისა. ამიტომაა ნაციონალური მოძრაობა სექტა. ამიტომ უნდა გასამართლდეს ეს ორგანიზაცია ერთი უმთავრესი ბრალდებით — „სახელმწიფოს წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის".

ჩამოაგდეს და გაიქცა.

რატომ უნდა გარბოდეს მართალი კაცი თავისი ქვეყნიდან, ისიც პრეზიდენტყოფილი, დარჩენილიყო და დამტკბარიყო „სიყვარულით", რომელიც ხალხის გულებში დასტოვა, დარჩენილიყო და მოემკა რაც დათესა, განა მას თავისი გაჩენილი სამართალი ვერ დაიცავდა, აკი იძახდა, "სამართლიან სახელმწიფოს ვაშენებო".

გაიქცა და წაიღო თავისი ბოღმითა და სიბლანტით სავსე სხეული.

და ახლა უცხოეთიდან, სხვის სამსახურში დროებით ჩამდგარი, ყოველდღიურად შურისძიებით ხმით — „ო, თუ დავბრუნდი", — კუდიანი ვარსკვლავის შიშით, აელვარებს საქართველოს ცას.

ჩვენი ხალხი შეცბუნებული შესცქერის ამ გაელვარებას და თავის თავს ხათრიან კითხვას უსვამს: „მართლა, რომ დაბრუნდეს"?!?!

**ელდარ ნადირაძე**

# შალვა აბულაძე — მანიაკი მკვლელი თუ „ნაცმოძრაობის“ სასტიკი რეჟიმის მსხვერპლი?



**„საერთო გაზეთი“ პოლიციელების მკვლელობაში ეჭვმიტანილი შალვა („შალალო“) აბულაძის სკანდალურ ჩანაწერებს გთავაზობთ. ჩანაწერი რედაქციას პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა ქეთევან ზარნაძემ მიაწოდა, რომელმაც „ნაციონალური“ რეჟიმის დროს შვიდი წელი საპატიმროში გაატარა.**

**ქეთევან ზარნაძე:** 2012 წლის არჩევნების წინ ძალიან დაიძაბა ურთიერთობა ადმინისტრაციასა და პატიმრებს შორის. იმ ხანებში ახალი ადვოკატი ავიყვანე. ეს იყო ქალბატონი სალომე აბულაძე, რომელსაც ძალიან ბევრი სიკეთე ჰქონდა გაკეთებული პატიმრებისთვის და კერძოდ, პატიმარი ქალებისთვის.

სალომე აბულაძემ მომითხრო თავისი პატიმარი ძმის შესახებ და ერთ დღეს თავისი ძმის მიერ ჩემთვის დაწერილი წერილიც მომიტანა.

ასე დაიწყო ჩემი და შალვა აბულაძის წერილობითი ურთიერთობა საპატიმროში.

მანამდე შალვა აბულაძეს, ცხადია, არ ვიცნობდი და უნდა გითხრათ, რომ მისი წერილებიდან გამომდინარე, შთაბეჭდილებების საფუძველზე, გაოგნებული და გაკვირვებული დავრჩი. შალვა აბულაძე, რომელიც 20-წლიან სასჯელს იხდიდა, უაღრესად განათლებული და არაორდინარულად მოაზროვნე ადამიანი აღმოჩნდა.

**— რა ბრალდების გამო ჰქონდა მისჯილი 20 წელიწადი?**

— რატომ და რისთვის, ამაზე პასუხს მისი ჩანაწერები გაგცემთ. იმ ჩანაწერებით საზოგადოებისთვის ნათელი გახდება, რომ დიდი ხნით საპატიმროში ყოფნა ადამიანს უდიდეს და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს როგორც ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად.

2003 წლიდან მიზანმიმართულად ხდებოდა ადამიანების დისკრედიტაცია. რეჟიმი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ ადამიანები აბსოლუტურ აპათიაში, ნიჰილიზმში და უიმედობაში ჩაეგდოთ. გაეტეხათ, პირველ რიგში, სულიერად.

მე არ ვიცი, რა მოხდა ბორჯომში რეალურად. მაგრამ ვიცი ის, რომ შალვა აბულაძე, ჩემი ინფორმაციით, 2014 წელს გამოვიდა საპატიმროდან და იქ ყოფნის პერიოდშიც კი ცდილობდა გაჭირვებულებისთვის დახმარება გაეწია.

რაც შეეხება „შალალოს“ დანაშაულს, სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, შემიძლია გითხრათ, რომ ბიზნესინტერესებთან დაკავშირებული დაპირისპირების გამო შალვა აბულაძემ აუცილებელი მოგერიების მიზნით ესროლა მოწინააღმდეგეს. ის მკვლელობის მცდელობის ბრალდებით გაასამართლეს.

წერს კიდევაც ერთ წერილში: „ეს ის 20 წელიწადია, რომლის შედეგადაც ადამიანმა უნდა იფიქროს, რომ ჯობდა საერთოდ არ დაბადებულიყო“. ერთ მომენტში ის დახვრეტას უფრო ნატრობს, ვიდრე 20-წლიან სასჯელს.

მე არაფერს ვამტკიცებ და არაფერში არ ვარ დარწმუნებული, თუმცა ცალსახად შალვა აბულაძის დადანაშაულება ბორჯომის ინციდენტში ან ბოლო დღეებში მომხდარ პოლიციელის მკვლელობაში საეჭვოდ მიმაჩნია.

„შალოს“ ნაწერებიდან გამომდინარე, ის საკმაოდ ჭკვიანი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს და თუ, დავუშვათ, ბორჯომში პოლიციელებს მართლა მან ესროლა, ის აუცილებლად დატოვებდა ქვეყანას. მას ჰქონდა ამის რესურსი და შესაძლებლობები.

ბორჯომის ინციდენტი ჯერ გამოძიებული არ არის. რამდენადაც მე ვიცი, იქ ძველი ბობოლა ბიზნესმენების ინტერესები დომინირებდა და ამიტომაც ამ საქმის დეტალები სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან ზედმიწევნით არის გამოსაკვლევი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

## შალვა აბულაძე

# `ugvamo due l i~

## დრო — 2011
## ადგილი — საქართველო
## ჟანრი — იურიდიული დრამა

ხდება ხოლმე, რომ შორიდან დანახული და დაწუნებული ახლოდან მოსაწონია, ან პირუკუ. აი, მაგალითად, არცთუ დიდი ხნის წინ ინგლისელმა ექსპერტებმა დაამთავრეს მუშაობა სურათზე, რომელიც ლეონარდოს ღვთაებრივი ყალმის კიდევ ერთი შედევრი აღმოჩნდა, რაც გახდა მიზეზი 45 000 ევროდ შეფასებულ სურათს უმალ დამატებოდა სამი ნული და ის ხმაურიანი ყურადღება, მაგნიტივით რომ მიიკრა სურათმა, ნამდვილი ავტორის ავტორიტეტის წყალობით. შორიდან დანახული და დაწუნებული სურათი მყისიერად გარდაიქმნა ახლოდან დაუწუნებელ სანახაობად.

დედამიწაზე ყველაფერი კანონზომიერებას ემორჩილება და ყველ გზა-კვალს თავისი დრო და შესაფერისი გარემო უმაგრებს ზურგს, ისევე, როგორც ლეონარდოს ყალამი თავის სურათს, რომელშიც ადრე თუ გვიან გადაიხდიან იმ თანხას, რაც ნამდვილად ღირს. სწორედ ამ ზურგის სიმაგრისა და დროის დროულმა შეგრძნებამ მიმიყვანა ამ ფურცელთან. ასეთ ფურცლებზე ადრეც დამიწერია, მაგრამ ისეთი, როგორსაც ყველა წერს. ალბათ, ადრესატებმაც იმიტომ შეიკავეს თავი დადებითი პასუხისგან, ლეონარდოს უცნობი სურათებივით სტანდარტული და ნაკლებ ავტორიტეტული რომ მოეჩვენათ. ჩემს შემთხვევაში სამგზის უყურადღებობა საკმარისად ჩავთვალე, რათა მეოთხე ნაბიჯი იქ გადადგმულიყო, ისეთ მოედანზე, სადაც ამას ყველა დაინახავდა. ამიტომაც უნდა შექმნილიყო რაღაც ახალი და თანაც ისეთი, რომელიც არა მარტო მე, არამედ ყველას ერთად რომ გვტკივა. ამ საყოველთაო ტკივილს მივეცი იურიდიული დრამის სახე. ნამუშევარს კი „უგვამო დუელი“ ვუწოდე. ასე იმიტომ, რომ დღევანდელი „ტრაგიზმი სამართალში“, კარგად გაცნობისა და ჩაწვდომის დონეზე ყოფილიყო წარმოდგენილი და რომანივით საინტერესოც.

უპრიანია ვიცოდეთ, ვინ ვარ მე? მხოლოდ გარეგნულ მონაცემებზე დაყრდნობილი თუ საკუთარი თავისა და „ტრაგიკული სამართალისგან“ გაშოლტილი და გამათრახებულთა შემგრძნობი და შემცნობი? მოდით, შევცვალოთ ტრაგიზმი, რადგან ტრაგიზმში არის აზროვნება და, შესაბამისად, ლოგიკაც, მაგრამ რაც ჩვენს გარშემო ხდება, ამაში ვერც აზრს დაინახავ და ვერც ლოგიკას. ამიტომაც შევცვალოთ ტრაგიკული „პინგვინურით“. გამოვა „პინგვინური სამართალი“, ვინაიდან მე ვარ ავტორიც და მსხვერპლიც „პინგვინური სამართლისა“. თავს მივცემ უფლებას ჩემი კერძო შეხედულებებითა და შეგრძნებებით ისევე ვიხელმძღვანელო, როგორც კრებით შეხედულებათა და შეგრძნებათა გამომხატველმა, ვილაპარაკო ჩემზე და ვიგულისხმო სხვაც, რადგან ჩემნაირი სხვა იმდენია, რამდენზეც მხოლოდ ერთი რამ შეიძლება ითქვას: „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები?“

სამმილიონიან ქვეყანაში ორმოცი ათასი პატიმარი (ზუსტი ციფრი გასაოცრად უცნობია) და

სამასი ათასი პრობაციონერი ნამდვილად იძლევა არა მარტო იურიდიულ, არამედ მორალურ უფლებასაც, რომ ყველას მაგივრად ვილაპარაკო ტრიბუნიდან. მაგრამ იძლევა თუ არა იმის უფლებას, რომ მარტო მე ვილაპარაკო და არა სხვამ, მაგაზე სხვებმა გასცენ პასუხი სინდისსა და იმ სულიერ მდგომარეობას, რომელსაც გამბედაობასა და პრინციპულობას არქმევენ ხოლმე არათანაბარი წარმატებებით ზომაზე მეტად გალაღებულნი.

სასამართლო და მისი სამართალი იმდენადაა გაუმაძღრობას მიჩვეული, რომ ორციფრიანი სასჯელის გარეშე შიმშილის გრძნობის დაკმაყოფილება აღარ შეუძლია, თუნდაც საქმე წვრილმან ქურდობას ეხებოდეს – ისეთს, ევროპის სახელმწიფოებში ათგზის რომ პატიობენ და მეთერთმეტედაც თუ ასამართლებენ, მხოლოდ იმ განბჭობის შემდეგ, ქვეყანაში შემქნილმა ნაკლებ სოციალურმა და ეკონომიურმა გარემომ ხომ მიიყვანა უკანონობის ჩადენამდეო? თორემ ვინ არ იცის, რომ დასაქმებული და ეკონომიურად უზრუნველყოფილი მოქალაქე ქურდობის განზრახვით ნამდვილად არ შეუქმნის თავის წილ ბედნიერებას საფრთხეს. ყველამ კარგად უწყის, თუ რა უბედური შედეგი შეიძლება მოუტანოს ქურდობამ. არავინაა ისეთი სულელი, რომ უბედური შედეგისადმი მტანჯველი წინათგრძნობა სიამოვნებდეს.

აი, ამ უსიამოვნო ქმედებისათვის ჩვენთან, საქართველოში, დაუფიქრებლად იძლევიან არქიუსიამოვნო სასჯელს. მავანი იკითხავს, კი, მაგრამ, ქურდობისათვის იმაზე არქიუსიამოვნო სასჯელი რაღა უნდა იყოს, რასაც ვერ იპოვი აზიის რამდენიმე შავ-ბნელ ქვეყანაში? იქ ხელს აჭრიან, ხოლო ჩვენთან სასამართლოს იმსიგრძე სასჯელი გამოაქვს, რომ თუ გაგიმართლა და ცოცხალი გათავისუფლდი თხუთმეტი-ოცი წლის შემდეგ, იმას მაინც ვერ ასცდები, რომ დარჩენილი სიცოცხლე ავადმყოფურ კვნესა-ვაებასა და წამლების სმაში გაატარო. ხანგრძლივ ტანჯვას მგონი, ხანმოკლე ტრაგედია სჯობს, რადგან ხელს ერთხელ მოგაჭრიან და მორჩა, იქ დამთავრდება დაწყებული უბედურება, მაგრამ უბედურება რომ იწყება და აღარ მთავრდება? იმაზე აღარ ვლაპარაკობ, ხელმოჭრილი იგივე გარემოსა და იმავე ოჯახში რომ აგრძელებს ცხოვრებას, სადაც ხელმოჭრამდე იმყოფებოდა, მაგრამ რა ქნას ხელმოუჭრელმა 15-20 წლის შემდეგ რომ გამოვა ციხიდან და აღარავის ენდომება ავადმყოფი და გაუბედურებული, მშობლებმკვდარი, ოჯახდანგრეული და მეგობრებშემოძარცვული? რამდენი სასიკვდილო განაჩენია იმ ოც წელიწადში, რომელიც საკმარისია, ცოცხლად გკლავდეს მანამ, ვიდრე არ მოგკლავს თვით ბუნება.

საშინელებაა? ადამიანს მიუსაჯო 20 წელი მაშინ, როცა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობის ასაკი ისედაც 60-70 წელია ნორმალურ პირობებში და არა ისეთში, რომელშიც მან უნდა გაატაროს. ეს ნიშნავს, წაართვა მას სიცოცხლის არათუ უმეტესი ნაწილი, არამედ თვით სიცოცხლეც, რადგან აქედან 1/3 ანუ 25 წელს ძილში ატარებს, 15-16 წლამდე კი მხოლოდ შეგრძნებების დონეზე ცხოვრობს. დარჩა ოცი წელი. ეს ის ოცი წელია, რომელიც უნდა მოკლას, დაახრჩოს და დაასამაროს ციხეში. ე. ი. მივიღეთ რა? ის? რომ ოცწელმისჯილისთვის დაბადებასაც არ ჰქონია აზრი და პირიქით, რომ არ დაბადებულიყო, ჯობდა კიდეც, ვინაიდან აღქმადი და ცნობადი სამყარო მას არათუ ბედნიერების, არამედ ტანჯვისა და სასტიკი რეალობის მთელი სიმძიმით ჩამოეკიდა კისერზე.

ჩვენ ვიძახით, რომ არადემოკრატიულია სიკვდილის მისჯა ადამიანისათვის, მაგრამ იმას ვივიწყებთ, რომ ნელი და დროში გაწელილი სიკვდილით ჩვენ მას არა თუ ერთხელ, არამედ ათასჯერ ვკლავთ, სადაა აქ დემოკრატია? სადაა ჰუმანიზმი? სადაა ის განცდა, რომ ადამიანები ვართ და არა ცხოველები?

უმტკივნეულოდ, შეუგრძნობლად რომ აღესრულებინათ სასიკვდილო განაჩენი, გილიოტინაც კი გამოიგონეს და თანაც იმ ხანაში, როდესაც დემოკრატიაზე არათუ ლაპარაკობდნენ, არამედ ამის პიარი და მორგება სასარგებლო თარგზე, შორეულ აზრადაც თავში არავის მოსდიოდა. ხოდა, განა 1500 წელს ცხოვრობს ადამიანი, რომ მას ირონიითა და სარკაზმით გამძღარი სასჯელი, 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯო? დღესდღეობით საქართველოში ოცწელმისჯილ პატიმართა რაოდენობა იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე მოსახლეობით ჩვენს თანატოლ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში პრობაციონერი. აღარ ვრწვრილმანდები, რომ ვინმემ მხოლოდ ცალკეული შემთხვევებისა და მაგალითების დონეზე შემფასებელი არ მიწოდოს, თორემ არც ისეთებია ცოტა 25 და 30 წლები რომ აქვთ მისჯილი და არ იციან, რატომ?

არ ვიქნებოდით მართლები, თუ მიზეზებს არ დავასახელებდით. იქნებ ვტყუით და ადამიანთა თავისუფლების მსგავსი თავზეხელაღებული ხელყოფისთვის ტყუილად განვიკითხავთ და ვამხელთ მავან ხელისუფლებას?

მოჩვენებით თავაზიანობასა და ალტრუიზმში რომ არ ჩამომერთვას შორს სიარული, ახლოდან დავიწყებ.

ინებეთ ჩემი 20 წელი სხეულის დაზიანებისთვის, მოკლედ ასეთი „ძლიერი ვარ და მოგერიეს“ პრინციპი მოქმედებს დღევანდელ სასამართლოში. სულხანსაბას იგავის არ იყოს, მეფის გვერდში მყოფს ერთი ყურიდან ასჯერ უკეთესად უნდა ესმოდეს და მეორედან ასჯერ უფრო ბრმა იყოსო. ასეა მაგათი საქმეც. როცა აწყობთ, ხელს ართმევენ და იძახიან: აი, სუფთა მარჯვენაო! ხოლო როცა არ აწყობთ, იძახიან: ასეთი მარჯვენა მარტო ჰეროსტრატეს ჰქონდა ჩვ.წ.აღ-მდე მე-4 საუკუნეში არტემიდეს ტაძარი რომ დაწვაო. ნუთუ იმაზე მეტი ზიანი არ განვიცადე, ვიდრე ჩემზე გაბრაზებულებმა მომაყენეს? ნუთუ არ კმარა ჩემს მიერ ნაღიარები ნაწილობრივი ცნობა დანაშაულში და იმის საჯაროდ გამოთქმა, რომ არ ვარ ანგელოზი და როგორც სასამართლომ, ასევე კანონზომიერებამაც საკმარისად გამშოლტა. იქნებ სულიერ ავლა-დიდებას რომ ემტყუნა ჩემთვის, ეს ყველაფერი ზესასჯელადაც კი მიმეჩნია იმ მცირე დანაშაულთან, რომელიც ერთ წამში დაიწყო და წამში დამთავრდა კიდეც. ჭრილობები კი ორ კვირაში აღარავის ახსოვდა, მაგრამ რა ვქნა და როგორ გარდავქმნა, დავიბრუნო, მოვარჩინო უსასტიკესი რეალობა.

მას მერე ექვსმა წელმა განვლო. დაფერფლილ გულს არაფერი ეპარება, ვინაიდან მას ბევრად უკეთესი მხედველობა აქვს, ვიდრე თვით თვალს. მის არსენალში ყველაფერია, რითაც კი რაიმე შეიძლება იზომებოდეს.

სიტყვა დაფერფლილმა არ შეგვაშინოს, თორემ მისდამი ნდობას სკეპსისის ერთი ჭიაც რომ გაუჩნდეს, ჩვენი ისტორია ველარ დაიდებს მზიან ღამეში წილს.



შალვა „შალალო“ აბულაძე



**შალვა აბულაძის მიერ საპატიმროდან ქეთევან ზარნაძისთვის გაგზავნილი წერილების მაგიდის ტილოსგან შექმნილი კონვერტები**



მაშ, დავიწყოთ ორი „დამნაშავის“ ცხოვრება დანაშაულამდე და დანაშაულის შემდეგ. ეტიკეტს არ დავარღვევ, მით უმეტეს, რომ წილის ყრის უფლებაც კი მაქვს. ბოლოს და ბოლოს, „უგვამო დუელის“ მუხლიც გვიწყობს ამაში ხელს. მოსათხრობი ბევრია, მაგრამ მაინც ცოტასგან დავიწყებ.

ავიღოთ „უგვამო დუელში“ ჩემი „მოწინააღმდეგის“ ცხოვრება! „უგვამო დუელში“ მონაწილეობისათვის 16 წლით თავისუფლების აღკვეთა! სასჯელის მოხდიდან სამ წელიწადში დაენგრა ოჯახი. ციხეში გაურკვეველ სიტუაციაში მიიღო ტრავმა, რომელმაც მიაჯაჭვა ინვალიდის ეტლს. მასთან შეხვედრილ პატიმართა გადმოცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, მისი ფსიქო-ნერვული მდგომარეობა საგიჟეთს უფრო საჭიროებს, ვიდრე თავისუფლებას.

ახლა რაც შემეხება მე!

„უგვამო დუელში“ მონაწილეობისათვის 20 წლით თავისუფლების აღკვეთა. პირადი ქონების დატაცება, იმ საქმეებისა და ბიზნესის დატერორება, რომელთანაც წილობრივ-მმართველობითი ინტერესებით ვიყავი დაკავშირებული. ჩემი და ჩემი ოჯახის მრავალგზისი შანტაჟი-რეპრესია. ჩემი ღირსებებისა და რეპუტაციის ანტიპროპაგანდა, ბინძური სიტყვიერება და დისკრედიტაციული პოლიტიკა, შიდა სამეგობრო-საპარტნიორო წრეში „გათიშე და იბატონეს“ პრინციპით ყველა მეგობრისა და ნაცნობის დატერორება, დაპატიმრება ბუნდოვანი მოტივაციებითა და ჩემსკენ მომართული ისრებით. ოჯახის ყველა წევრის დაპატიმრება-გასამართლება, ორგზის მცდელობა ადვოკატი დისთვის ნარკოტიკის ჩადებისა სასჯელაღსრულების დაწესებულების ტერიტორიაზე. ექვსკაციან საკანში ჩემს ჯიბეში აღმოჩენილი ნარკოტიკი, რომლის განადგურებაც მოვასწარი საკნის გაჩხრეკამდე ხუთი წუთით ადრე. (ამ ყველაფერს ჰყავს, როგორც ეს ექვსი, ასევე სხვა მრავალი თვითმხილველი) ცოლის გადაბირება „ჩემი დაპატიმრების“ შემდეგ და მისი გამოყენება ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში, ორი შვილის წართმევა და წართმეული შვილების დასაბრუნებლად ჩემს მიერ წარმოებული სასამართლო პროცესები, სადაც 7 წლის უფროსი გოგო, კითხვაზე თუ რატომ არ უნდა მამა? იძახდა: რომ მამა მკვლელია, ყაჩაღია, ბოტოტია (ბოროტია – რედ.) და მეშინია ასეთი მამის. ამას იძახდა ბავშვი, რომელსაც 3 წლის შემდეგ მამა ნანახი არ ჰყავდა, მაგრამ მოსამართლეებმა მაინც ბავშვს დაუჯერეს, შვილის არდაბრუნებას მამისთვის სხვა რა უნდა ეწოდოს, თუ არა „წელიწადიდან გაზაფხულის გაქრობა“. აგრეთვე რამდენიმე გზის ფიზიკური ძალის გამოყენებითი მოქმედებები და მუდმივი ფსიქოლოგიურად ზემოქმედებითი გარემო როგორც ციხეში, ისე მის გარეთაც. ნამდვილად არ გავკადნიერდები თუ ვიტყვი, რომ ეს ჩამონათვალი მხოლოდ ათი წუთის განმავლობაში მოძიებული ნაყოფია მეხსიერების იმ ჩამონათვალთა შორის, რომლის ყველაზე შემოკლებულ-მოკრძალებული ვარიანტიც არის ეს.

სამართლებრივად როგორ უნდა აიხსნას XXI საუკუნის დახვეწილი და რაფინირებული კანონის ფონზე იმ უკანონობის „გაპრავება“, რომელიც პირდაპირი მემკვიდრეა „გვამიანი დუელების“ სისხლით დალაქავებული მე-19 საუკუნისა? ანუ შეიძლება თუ არა და არსებობის უფლება აქვს თუ არა ისეთ პრეცედენტს, როდესაც სასამართლოზე განისჯება ორი ადამიანის ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული ქმედება არა როგორც თავდასხმა და მოგერიება, არამედ როგორც თავდასხმა და თავდასხმა? ისე, როგორც ეს ჩვენი „უგვამო დუელის“ შემთხვევაში იქნა გამოტანილი. ერთის მხრივ, პოპულარობის მოყვარულთათვის, შესაძლოა, საამაყოც კი ყოფილიყო, როგორც პირველი პრეცედენტი XXI საუკუნეში, დუელში მონაწილეობის გასამართლებისა,

თუ სასჯელი ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის უფრო დამაზიანებს, ვიდრე თვით დანაშაული, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული ყოფილა სასამართლოს გადაწყვეტილება, არათუ დანაშაულად შერაცხული ჩემი ქმედება.

იმედია, სისუსტედ არ ცამეთვლება, თუკი „უგვამო დუელში“ ავტორიტეტების თანადგომასაც აღმოაჩენთ, როგორიცაა: არისტოტელე, რომელსაც დღემდე მთელი სამყარო უსმენს. ჩემი სათქმელის გადმოცემა უკეთაა შესაძლებელი მისი სიტყვებით: „მე არ ვნანობ, თუმცა უსამართლობა განვიცადე, ვინაიდან უსამართლოთა მხარეს უსამართლობით სარგებლობაა, ჩემს მხარეს კი სამართლიანობისათვის ბრძოლა!“

ჩნდება კითხვა: რა ქნას იმან, ვისაც არ შეუძლია გოლიათებთან შურდულით ბრძოლა?

კაი ხანია აღმოვაჩინე, რომ ადამიანისადმი ბრალდებებს არავისთვის კარგი არ მოაქვს, ვინაიდან აგრესიასა და სიძულვილ-

6 gv.

5 gv.

თან არის წილნაყარი და თუ კარგად შევისწავლით, წავიკითხავთ და დავაკვირდებით კაცობრიობის ფსიქოლოგიას, მივხვდებით, რომ ბრალდებებს შედეგი მარტო იქ მოჰქონდა, სადაც ამას ძლიერი სჩადიოდა სუსტის მიმართ. სწორედ ამ უბადრუკი ვნებისა და ამპარტავნების გამოა სამართალი უძლური და უსუსური, რომლის უკანაც არაა ძალა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით კაცობრიობის განვითარების კანონზომიერება და ბუნებრივი პროცესი ირღვეოდეს.

იქნებ ჩემი გალშქრებაც უფრო პირადი მოტივებიდანაა შობილი, ვინაიდან ბრალდებების მძიმე უღელი ზომაზე მეტად შეიმჩნევა მასშიც. მაგრამ თუ მიზეზის უფსკრულში გულით ჩავიხედავთ, ჩემს მინუსში, პლიუსის თვისებებს უფრო მეტს დავინახავთ, ვიდრე მინუსისა ანუ მეტ ზოგადსა და ნაკლებ კერძოს.

დღევანდელი მართლმსაჯულებისგან განხსვავებით, ნამდვილი ობიექტური მართლმსაჯულება ასეთი ბრალდებებისაგან თავს შეიკავებდა, ვინაიდან მართლმსაჯულება არაა იმისთვის, რომ ვერ გაარჩიოს „საბედისწერო შემთხვევა“ განზრახ მოქმედებებისაგან. და სასჯელი მიუსაჯოს იმას, ვინც უსამართლობას არათუ სჩადის, არამედ განიცდის. განა შეიძლება სამართლიანი იყოს ის სასჯელი, რომელიც მომისაჯეს მე „თუნდაც“ განუხორციელებელი მკვლელობის განზრახვისათვის, მაშინ, როცა 1946 წელს ნიურნბერგის პროცესზე ჩვენი მოწონებული დემოკრატიის დაწუნებულმა საბჭოთა მოსამართლეებმა ამერიკელებთან და ბრიტანელებთან ერთად კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის უპრეცედენტო და ყველაზე მკაცრი განაჩენების ტრიბუნალზე 24 განსასჯელიდან ორს 20-20 წელი, ორს 15-15 წელი და ორსაც 10-10 წელი მიუსაჯეს. თუმცა შორს რატომ მივდივართ, როცა საკუთარ ქვეყანაში მომსწრეები ვართ ამ ხელისუფლების მიერ ნაძაგებმა გარდასულმა ხელისუფლებამ როგორ შეიწყალა და 5-6 წელიწადში გაათავისუფლა ყველა მსჯავრდებული, ვისაც არც მეტი, არც ნაკლები ბრალი ედებოდათ პრეზიდენტისათვის ტერაქტის მოწყობაში, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იყოს სხვაობა განზრახვასა თუ არა, მოქმედებაში მაინც, რაც წარმოადგენს მთავარ კრიტერიუმს ძიებისა და გასამართლების პროცესში.

მხოლოდ იმის მიხედვით რომ ვასამართლოთ ხალხი, ვის რა განზრახვა ედო თავში დანაშაულამდე, მას ბიბლიაში მოყვანილი წინასწარმეტყველების გაერთიანებული ინტუიციური სიბრძნეც კი არ ეყოფა, ვინაიდან ადამიანის არა ფიქრი და განზრახვა სამართლდება, არამედ მოქმედება.

მოკლედ, იმის თქმა ნიმდა, დოსტოევსკის არ იყოს, დანაშაულის შედეგი უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე თვით დანაშაული და ზიანი. მისგან მოტანილი ბევრად უსამართლოა, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც მიესაჯა დანაშაულის ჩამდენსო.

# `ugvamo due l i~

ორციფრიანი სასჯელების ასე გულუხვად დამრიგებლებს შეიძლება მივულოცოთ საკუთარი თავების განდიდება იმ უსასტიკეს ტირანთა სიმაღლემდე, საიდანაც დანახული მთელი ერის სიკვდილი ისეთივე სტატისტიკაა, როგორც ერთი ადამიანის.

სტატისტიკური მაჩვენებლები თავის სასარგებლო პიერ-კომედიებით გვმოძღვრავენ — ობიექტურ სასამართლოს 70%-იანი მხარდამჭერი ფავორიტი და ელექტორატი ჰყავსო. ავიწყდებათ, ძაღლიც რომ აჩენს ათ ლეკვს, ცხვარი კი ერთ ბატკანს, მაგრამ ძაღლის ფარა დღემდე არავის უნახავს, ცხვრის ფარა კი ბევრს.

რუსოს გენიალურ აზროვნებაში დაეჭვება საკუთარ თავში დაეჭვების ტოლფასია და ამას სულაც არ სჭირდება ჩემი სუბიექტური შეხედულება სიმყარის მოსაპოვებლად. რუსოსაც მინდა დავესესხო ერთი ფრაზით: (ვინც ბევრით დაესესხა, მათი კვალი ისედაც ამჩნევია მსოფლიოს და რა მოხდებოდა, პატარა კვალს ჩვენც თუ დავტოვებდით ამ ფურცელზე?), „სადაც კანონები სამართალს, ხოლო მათი აღმსრულებლები კი ავტორიტეტს კარგავენ, იქ შეუძლებელია ვინმე უსაფრთხოდ გრძნობდეს თავს და იყოს თავისუფალი“.

დღევანდელ რეალობაში რა გასაკვირია ასეთი სურათი, როდესაც თვით საკანონმდებლო ორგანოში (პარლამენტი) საჯაროდ და საზოგადოების თვალწინ არ ერიდებიან დანაშაულის ჩადენასა და ერთმანეთზე ისეთი მტაცებლური თავდასხმების განხორციელებას, როგორსაც ნახავთ ცხოველთა სამყაროში, როდესაც ერთი ნადირი თავს ესხმის მეორეს, ან იქნებ ყველასათვის უვნებელ მსხვერპლსაც კი. ეს ის პარლამენტარი კანონშემოქმედნი არიან, რომელი კანონებითაც ჩვენ გვასამართლებენ.



გეკითხებით? ასეთი ველურების მიერ გამოძერწილი კანონი კანონია? ამ კანონის მიხედვით შემდგარ სასამართლოს და მერე ამ სასამართლოს მიერ გასამართლებულ ადამიანს შეიძლება რომ სამართლიანად გასამართლებული ეწოდოს?

პრინციპში, ბრმათა ქვეყანაში ცალთვალაც მეფეა, მაგრამ ობიექტივის „რაღაცა ხდებასი“ არ იყოს, ჩვენც ხომ ვგრძნობთ ამ რაღაცის სიახლოვეს. ჩვენ ყველასა როგორც არასდროს გაგვიჩნდა იმის შევსების სურვილი, რაც აქამდე გვაკლდა.

ნეტავ, რა არის ის, რაც გვაკლდა?

რა და — გამბედაობა!

ქართულ ანდაზას თუ მოვიშველიებთ, მგონი, ამაზე ბრძნულსა და სასარგებლო რამეს ნაკლულობის შესავსებად ვერსად ვიპოვით „გაბედვამდის ასი მოკვდა, გაბედეს და არც ერთიო!“



თუ კადნიერების დონე და მავანთა პირადი ინტერესები ჩემი ცოცხლად დამარხვისა კვლავ ზენიტში იქნება, გამოდის, რომ ერთი რასაც უნდა მოველოდეთ მართლმსაჯულებისაგან და რისი იმედიც უნდა მქონდეს — არის გულმოწყალება, რომელსაც იჩენენ მსაჯულები დამნაშავეთა მიმართ, არა ბრალდების მოხსნის, არამედ ცოდვების მიტევების მიზნით. ამასთან დაკავშირებით მე ერთმნიშვნელოვანი პასუხი მაქვს: „მსგავსი იმედითა და ლმობიერებით შეზავებული ჰაერიც არ მსურს?!“

დაბოლოს,

ეს კითხვა ყველაზე მთავარია. მასზე პასუხით ამოიწურება ყველაფერი, რაც კი ამ საქმეში ჯერ კიდევ ცოცხლობს და საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობით დაინტერესების უფლებაც აქვს.

თუ შესაძლებელი იყო ასეთი დასაწყისი — დასასრულიც ხომ შესაძლებელი უნდა იყოს, რადგან შეუძლებელი არც წარმოიშობოდა. სადაც დასაწყისია შესაძლებელი, იქ დასასარულიც შესაძლებელია.

მაინტერესებს მეც და ყველას ერთად. ხვალ როგორ მსოფლიოში უნდა ვიცხოვროთ, ისეთში, რომელიც გაუფრთხილებელი, უნებური და ახალგაზრდული ვნების ბურუსში ამხდარი სიკეთის სანაცვლოდ ბოროტებით გვიპასუხებს, თუ სიძულვილთან ხელჩაკიდებული უკიდურესი ბოროტებით მოგვისჯის ოც წელს, ისე, რომ არც იკითხავს ოცი წლის შემდეგ გამოვალთ კი იმ ჯოჯოხეთიდან ცოცხლები, სადაც არათუ ოცი წელი, არამედ ყოველი წუთი საფრთხილო და საზიანოა ადამიანისათვის! და თუ გამოვალთ ოცი წლის მერე განა დაემთხვევა ჩვენი და საზოგადოების ჩვევები და შეხედულებები ერთმანეთს, ასე უხვად რომ ვკრეფდით და ვაგროვებდით ოცი წლის განმავლობაში სათითაოდ?

გამოდის, რომ ოცი წლის მერე უფრო დიდ დანაშაულს ჩავიოდენთ, ვინაიდან ფეხმძიმდება ახალი ბოროტება, რომელიც არავინ უწყის, რამდენთავიან გველეშაპს დაბადებს ახალ და ახალ უბედურებათა, ახალ და ახალ ნუგბარ ყელთაგან სისხლის გამოსაწოვად.

ოცი წლის მერე „გააპრავებთ“ იმაზე უარეს დანაშაულს, ვინაიდან არ არსებობს ადამიანური ბუნება, რომელმაც გუშინ ჩაიდინა მძიმე დანაშაული და დღეს ჩაიდენს ნაკლებად მძიმეს?

ბოლოს და ბოლოს, როგორი რელევანტურიც არ უნდა იყოს ჩვენნაირი განვითარებადი ქვეყნისთვის თავისუფალი ბაზრის იდეა (რომელსაც პანაცეის დონეზე განიხილავენ ჩვენი ხელისუფლების მამები, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთადერთ წყაროს) საოცნებო დონეზეც კი გამორიცხულია ფეხი აიდგას ისეთ ქვეყანაში, სადაც არარსებობს სოციალური კონტრაქტი მოსახლეობასა და მთავრობას შორის (თანაბარი განაწილების პრინციპი) დაბალანსებული საბაზრო სისტემა, საკუთრების უფლებები და რაც ყველაზე მთავარია, დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც ამ უფლებებს დაიცავს და იქნება ამ უფლებათა და თავისუფლებათა გარანტი! (ან რა დიდი სიბრძნე იმას სჭირდება, რომ ყველაფერი ჯაჭვურადაა ერთმანეთზე გადაბმული და ერთის ცუდი მუშაობა იწვევს მეორის გაუარესებასაც და ა.შ.).

მოუწესრიგებელი სასამართლო არის მოუწესრიგებელი ეკონომიკა, ჩატეხილი ხიდი ორ სოციალურ ფენას — უზომოდ გამდიდრებულ ელიტასა და უზომოდ გაღარიბებული მოსახლეობის 90%-ს შორის. მოუწერიგებელი სასამართლო არის გარანტი სოციალური დესტაბილიზაციისა, გარანტი ფსიქიკურად დაავადებული საზოგადოებისა და ავტორი ასტრონომიულად მზარდი იმ თვითმკვლელობებისა და ფსიქოლოგიური ხასიათის მანიაკალური დანაშაულობებისა, რომლის გარეშეც არც ერთი „ნაციონალური“ ტელევიზია არ იწყებს და არ ამთავრებს პირსისხლიან მაუწყებლობას დღევანდელ საქართველოში!

ასეთი სასამართლო თვითონაა გასასამართლებელი. მე, როგორც თვითმხილველი და თვითგანმცდელი, ისევე, როგორც ის ათიათასობით ადამიანი, რომელიც სამმილიონიან ამ პატარა ქვეყანაში (40%-მა უკვე დატოვა ქვეყანა, შესაძლოა, ხუთი მილიონი აღარ ვართ) ორციფრიანი სასჯელებითა და სასტიკი წამების სამსხვერპლოზე გმინავენ ათობით ახალი აშენებული ციხეების კედლებში, ბრალმდებლის ტრიბუნიდან პირველს, რის გულისთვისაც „თვალი თვალის წილ“ მოვითხოვდი, იქნებოდა ის უზენაესი განაჩენი, რომელიც ამ პირსისხლიანმა სასამართლომ და მისმა კერძო მესაკუთრეებმა დაიმსახურეს არა მარტო იმ ორასიდან სამასამდე პატიმრის ყოველწლიური „გარდაცვალების“ გამო, არამედ იმ წამების, კაბალური პირობების, ფსიქოლოგიური ზეწოლის, “თითქმის“ უვადო სასჯელებისა (ადამიანი ყვავი არაა, 300 წელს ცოცხლობდეს) და იმ მონაცემებისა, რომლის მიხედვითაც ყოველი პატიმარი სასიკვდილოდაა განწირული და უკვე ისედაც „ყველა“ მძიმედაა ავად, ხოლო შანსი იმისა, რომ გავა თავისუფლებაზე და იქ გააგრძელებს დღეგრძელ ან თუნდაც ხანმოკლე, მაგრამ ჯანმრთელ ცხოვრებას, **ნულის ტოლია!**

ისე რომ არ გამომივიდეს, „ვერაფრით არა თუ გაგახარეთ, არამედ ვერც განუგეშეთ კიდეც“ ერთ უდაო ჭეშმარიტებას მაინც გაგიმხელთ. აღარ დავიწყებ ნობელიანტების, არტურ ლევისისა და საიმონ კუზნეთსის აქსიოლოგიურ დასკვნათა ციტირებას იმის შესახებ, რომ უთანასწორობა კარგია სულიერ-გონებრივი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისთვისო, არამედ მრავალსაუკუნოვანი ისტორიით ბეჭედდასმული კანონზომიერებითა და უბრალო ენით შემოვიფარგლები: უთანასწორობასაც აქვს თავისი ზღვარი, როცა მიაღწევს კულმინაციას და გაძღება, ვითარება აუცილებლად იცვლება!

**შალვა აბულაძე**
2012 წ. იანვარი

# რა ქნას ადამიანმა და რით დაამტკიცოს, რომ არ არის ორანგუტანგი, როცა ზოოპარკი ასეთ ცნობას არ იძლევა?




საქართველო ერთადერთი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე, სადაც პოლიტიკა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ფასების მატება. დიახ, სადაც მხოლოდ პოლიტიკა აინტერესებთ და მეტი არაფერი. ეს არც ისე ხუმრობით. აბა, რით ავხსნათ ის ფაქტი, რომ თვით უკიდურესად მძაფრი ეკონომიკური კრიზისის დროსაც კი ქართული მედია მეტ ყურადღებას უთმობს ორ პოლიტიკოსს შორის გამართულ გინება-ფურთხებას, ვიდრე იმ საკითხს, თუ როგორ უნდა გამოვიდეს ქვეყანა კრიზისიდან. ყველაფერ ამას თავისი ახსნა აქვს: ჯერ იყო და შევარდნაძის დროს ქართული მედია ყველანაირად ცდილობდა მძაფრი შეფასებებითა და სკანდალური ისტორიებით ყურადღების მიქცევას, შემდეგი ეტაპი იყო 2001-2002 წლები, როცა სააკაშვილმა და მისმა „ნაციონალურმა მოძრაობამ" აქაოდა, რევოლუციონერები ვართო და ყველგან და ყველაფერში უარყოფითის ძებნა დაიწყეს. როგორც კი „ნაციონალური მოძრაობა" ხელისუფლების სათავეში მოვიდა და მის მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს არა მარტო არ მიხედა, არამედ პირიქით, ზოგი პრობლემა გაცილებით გაამძაფრა, უმეტესობა კი საერთოდ ისევე დატოვა, როგორც შევარდნაძის დროს იყო. მედიის წინაშე ნაციონალურმა ხელისუფლებამ მაშინვე დასვა ორი ამოცანა: პირველი, რაც შევარდნაძის დროს პრესამ გადააკეთა ჯოჯოხეთად იგივე რეალობა უნდა გადაეკეთებინათ სამოთხედ, და მეორე, არავითარი კრიტიკა ხელისუფლებისა პრესაში არ უნდა გაპარულიყო. (ამდენი იუმორისტული შოუ საქართველოს არ „ღირსებია", და არც ამდენი უკბილო ხუმრობა გაგვიგია ტელეეთერიდან), სამაგიეროდ, მთლიანად მოსპეს სატელევიზიო სივრციდან პოლიტიკური თოქშოუები (ტელეეთერი ძვირი ჯდებაო), მაგრამ იგივე ტელეეთერი, არც ისე ძვირი იყო უკ-



ბილო ხუმრობებისთვის. საბოლოოდ, სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ ერთ-ერთ ახალ წელს ოთხი სიუჟეტი აჩვენეს ზედიზედ თუ როგორ ააშენა პრეზიდენტმა სააკაშვილმა და გახსნა ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტები, როგორ გადაარჩინა და გამოიხსნა სომალელ მეკობრეებთა დატყვევებული ქართველი მეზღვაურები და ა.შ. მოკლედ, ახალ წელს ხალხი თოვლის ბაბუაზე უფრო პრეზიდენტით იყო დაკავებული. ხალხი ტელევიზორის ყურებას მოეშვა და კითხვას მიეძალა, იმ პერიოდში გაზეთებმა შეძლეს და სერიოზულად შეითავსეს ტელევიზიის ფუნქციებიც კი. ჩემს კორპუსში, მაგალითად, ათი ოჯახი ყიდულობდა თითო ერთმანეთისაგან განსხვავებულ გაზეთს და მერე ერთმანეთში ცვლიდნენ.

2012 წლის არჩევნებმა სიტუაცია სერიოზულად შეცვალა. თუმცა მოდით, მოვუსმინოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომელმაც ორიოდე დღის წინ ამ საკითხზე საკმაოდ ვრცლად ისაუბრა.

„რა უნდა დავუპირისპიროთ სიცრუის კამპანიას? — სიმართლე!.

ჩვენ ვართ გამონაკლისი მთელ მსოფლიოში. რომ არ ვაკონტროლებთ არც ერთ ტელევიზიას. ეს უპრეცედენტო შემთხვევაა. არ არსებობს მძლავრი ალტერნატიული საშუალებები, რითაც მოსახლეობა გაიგებს რეალობას. მე ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობენ ადამიანები, რომლებიც სიცრუის ტირაჟირებას ახდენენ. ზღვარგადასულ სიცრუეს ეუბნებიან მოსახლეობას. რას ფიქრობენ, ოდესმე დაუსვამთ საკუთარი თავისთვის კითხვა, რამეს აკეთებენ კარგს ჩვენი ქვეყნისთვის, ან ჩვენი მოსახლეობისთვის? ადამიანებს, რამდენიმე ადამიანი, თქვენ (მიმართავს ჟურნალისტებს — რედ.) გიყენებენ, როგორც ბრმა იარაღს და თქვენ ქმნით აბსოლუტურად სხვა რეალობას, რომელიც არ არის კარგი ჩვენი ქვეყნისთვის. ყველგან, სადაც ჩავედი, ხალხს აწუხებს ერთი რამ და მეუბნებიან: გააჩუმეთ ეს ტელევიზიები. მე ვეუბნები, რომ ვერ გავაჩუმებთ, იმიტომ, რომ ეს არის დემოკრატიის არსი, რომ მედია არის აბსოლუტურად თავისუფალი".



თავი რომ დავანებოთ იმ აზრს მატყუარა ტელევიზიების არსებობა რატომ ითვლება დემოკრატიად და რატომ მოითხოვენ ჩვენი მთავრობისგან, რომ დეზინფორმაციის გამავრცელებელ ტელევიზიებს პასუხი არავინ მოსთხოვოს, სიტუაცია მაინც აბსურდული რჩება. ჯერ ერთი, „გამკრიტიკებლები" ისე წერენ თავიანთ მოსაზრებებს, რომ მეორე მხარის, ამ შემთხვევაში მთავრობის პოზიციებს, არც კი ითვალსწინებენ, მეორე ის არის, რომ არანაირი კანონისმიერი საშუალება, რომ სიცრუის გამავრცელებელს პასუხი მოსთხოვო, ჩვენი კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის. ერთადერთი რაზედაც კანონი ხმას იღებს, ეს არის ცილისწამება, ეს საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, თორემ სისხლის სამართლებრივი დევნის ობიექტი ცილისმწამებელი, კარგა ხანია, აღარ არის. მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი მხოლოდ ცილისმწამებლისათვის სამოქალაქო სანქციის დაწესება. ჯერ ერთი, ათასობით ფაქტის გაყალბება ხდება დაწყებული იქიდან, რომ „ეკონომიკა ჩამოიშალა" ან „მალე ჩამოიშლება", დამთავრებული იმით, რომ ქართველები „რასისტები" ვართ, მაგრამ ამ იდიოტობების გამავრცელებლებს კანონით ვერანაირ პასუხს ვერ მოსთხოვ. მეორე, პასუხის მოთხოვნა დაკავშირებულია გარკვეულ თანხებთან, ასე რომ, ცილისმწამების ობიექტმა, რომ შეძლოს და დაასაბუთოს, რომ მას სერიოზული ზიანი მიადგა ცილისმწამების გამო, ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული აღმოჩნდება თუ არა გადახდისუნარიანი მცილისმწამებელი მხარე. დაბოლოს, თავად ცილისწამების საკითხიც სრულიად უაზროდ არის განმარტებული სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში. გასაგებია, რომ ნაციონალებს სჭირდებოდათ ისეთი კანონი, რომ დაუსჯელად ელანძღათ ნებისმიერი ადამიანი და კანონის მიხედვით მათთვის კანონის ფარგლებში პასუხი ვერავის მოეთხოვა. ამიტომაც მიიღო ნაციონალების პარლამენტმა ისეთი კანონი, რომელშიც გათვალისწინებული იყო ის ფაქტორი, რომ მთავრობა მთლიანად აკონტროლებდა ყველა რეგისტრირებულ ბიზნესს და ამის პარალელურად პრესა იზღვევად თავს შესაძლო ჩივილისგან.



სრულიად გაუგებარია დღეს ამ კანონის ამ ფორმით არსებობა, ჯერ ერთი, ახალი მთავრობა მაინც სიმართლეს ითხოვს და ამ სიმართლის გამავრცელებელი ორგანო აქამდე თითქმის არ მოიძებნა. მეორე, თავისთავად ცილისწამება სერიოზულად არის გასააზრებელი. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია პრესით დაგაბრალოს, რომ ხარ ორანგუტანგი ან სექსუალური მანიაკი, რამდენადაც მე ვიცი, ცნობას, რომ არ ვარ სექსუალური მანიაკი, ქართული სამედიცინო სისტემა არ იძლევა. სხვანაირად რითი უნდა დავუმტკიცო, რომ არ ვარ სექსუალური მანიაკი, ჩემთვის ეს სრულიად გაუგებარია. ასევე ის ცნობა, რომ არ ვარ ორანგუტანგი მეეჭვება, რომ გასცეს ქართულმა ზოოპარკმა. ხოლო იმ დოკუმენტებში, რომლებიც მე სახელმწიფომ მომცა (პასპორტი, პირადობა და ა.შ.), არსად არ არის მითითებული, რომ მე ვარ ადამიანი...ყველაზე უფრო საინტერესო შემთხვევაა, როცა ადამიანს ფეესბეს ან პუტინის აგენტობას აბრალებენ. წარმოიდგინეთ, რომ მე დამაბრალეს ფეესბეს აგენტობა და ამ დროს მე მოვიტანე ფეესბეს ხელმძღვანელობიდან ბეჭედდასმული ცნობა, რომ არასდროს ვყოფილვარ ფეესბეს აგენტი. შევძლებ ამით ცილისწამების უარყოფას? მე მგონი, პირიქით. ასე რომ, ნონსენსია ცილისწამებაზე ის შეხედულებები, რომლებიც ჩვენს დიდად პატივცემულ კანონს გააჩნია, მეტიც კანონი მოძველდა, ჯერ მაშინვე იყო ალოგიკური ამ კანონის არსებობა, როცა მიიღეს და ახლა ხომ საერთოდ გადასაგდებია. იქნებ მართლაც მოხერხდეს და გავითვალისწინოთ იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ერთის მხრივ, შეიძლება ორმა ჟურნალისტმა შექმნას სკანდალი, რომელსაც პრეზიდენტის გადადგომა მოჰყვა, ხოლო იმავე ქვეყანაში ყოველწლიურად მილიონები იხარჯება, როცა პრესა სკანდალს წაეპოტინება და ამა თუ იმ მსახიობს ან პოლიტიკურ პირს რაიმე ბრალდებას შეუთითხნის. ღვთის მადლით ასეთი დემოკრატიული ქვეყანა ბევრია და ველოსიპედის გამოგონება ჩვენ აღარ უნდა დაგვჭირდეს, შეგვიძლია, უბრალოდ, მოვარგოთ ქართულ რეალობას მათი გამოცდილება.

**ქეთი ხომერიკი**
592 53 53 03

# დავით გაგნიძე:
# ვინც ხარძიანი მოკლა, ის უდესიანის მტერიცაა...

***ვის ინტერესში შედიოდა ბესიკ ხარძიანის მოცილება, უკავშირდება თუ არა ბოლო ხანს გახმაურებული მკვლელობები ერთმანეთს, იყო თუ არა პროფესიონალის მიერ განხორციელებული მკვლელობა და რამდენად აქვს ამ საზარელ დანაშაულს გახსნის პერსპექტივა, გვესაუბრება პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი* დავით გაგნიძე.**



- პირველ რიგში, სამძიმარი მინდა გამოვუცხადო ბესიკ ხარძიანის ოჯახს. ტელევიზიით მოვისმინე, რომ ბიზნესმენს თავდამსხმელმა შვიდი ტყვია ესროლა, საიდანაც სამი ააცილა. მერწმუნეთ, პროფესიონალი მკვლელი ამდენ ტყვიას არ ისროდა, არსად მსმენია, რომ ქილერს დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში სროლა აეტეხოს. პროფესიონალი მკვლელი მსხვერპლს ყელში ან შუბლში ესვრის, ანუ დაუცველ ადგილებში, რადგან შეიძლება მას ჯავშანჟილეტი ეცვას. მკვლელობის შემკვეთად ყველა უდესიანს რომ ასახელებს, რა გარანტია არსებობს, რომ მართლაც ის იყო შემკვეთი? შეიძლება გამწარებულმა ოჯახმა თქვა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში მართლაც უდესიანი იყოს დამკვეთი. ამიტომ ჯობია წინასწარი, უმეტეს შემთხვევაში არასწორი


ბესო ხარძიანი

პროგნოზებისაგან თავი შეიკავონ, დააცადონ გამოძიებას მუშაობა. ჩემი ინფორმაციით, უდესიანს დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ ჩინოვნიკთან ყველაფერი „გაიასნებული" ჰქონდა, ლაშა ნაცვლიშვილზე ხომ ბევრჯერ ითქვა, ვიღაცები მართლაც ცდილობდნენ დახმარებოდნენ უდესიანს ასე ვთქვათ, საქმის ჩაწყობაში. როცა ადამიანს ათეულობით მილიონის ქონება აქვს, ხომ ამბობდნენ ასმილიონიან ქონებას ფლობსო, ხელისუფლებასთან საქმე მოგვარებული აქვს (ამდენი ზონდერბრიგადა ყავდა, მაგრამ პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ), იცის, რომ აღარ დაუწყებენ ძებნას, მთლად გიჟი უნდა იყოს, რომ თავი კვლავ ყურადღების ცენტრში მოიქციოს და თავის ყოფილ ხელქვეითებსაც პრობლემები შეუქმნას. მეტსაც გეტყვით, ვინც ხარძიანი მოკლა, ის უდესიანის მტერიცაა, რადგან კარგად იცოდა პირველს უდესიანს დაადებდნენ ხელს. მე უდესიანს კი არ ვიცავ, მის მიმართ ჩემი დამოკიდებულების შესახებ კარგად იცით, უბრალოდ ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ ასე გამოდის. უდესიანს მართლა არაფერში ჭირდება მისი სახელის გარშემო მითქმამოთქმის ატეხვა. მეორეც, როდის იყო მკვლელობის დამკვეთს ეძებდნენ და შემსრულებელზე არაფერს ამბობდნენ. სად არის მკვლელობის იარაღი, რომელი იარაღიდან ესროლეს, რა მოტივით მოხდა მკვლელობა? მოტივი აშკარად არ ჩანს და როცა მოტივი არ ჩანს, ე.ი. პოლიტიკური მკვლელობაა.

ვიმეორებ, ეს ყველაფერი უშუალოდ ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ არის მიმართული, ამასთანავე ძალიან უნდათ პოლიციის პრესტიჟის გაუფასურებაც, ამისთვის ყველაფერს აკეთებენ. „რუსთავი-2"-მა რეპორტაჟი რომ გააკეთა ხარძიანის მკვლელობის ადგილიდან, პოლიციელები სთხოვდნენ ჟურნალისტს, თუ არ ვცდები პაატა იაკობაშვილს, რომ ცოტა მოშორებით გასულიყო და იქიდან გაეკეთებინა ჩართვა, მაგრამ ვერაფერი შეასმინეს, მოკლედ, მთელ ქვეყანას აჩვენეს, რომ პოლიცია არაფრად უღირთ და მის მითითებას არ ემორჩილებიან.

**- ბატონო დავით, ხარძიანის მკვლელობას დავუბრუნდეთ, რომელიც დამეთანხმებით ძალიან გავს თელავში მომხდარ მაისურაძის მკვლელობას. კეკელიძის ქუჩაზე ნაპოვნი მოპედი და ჩაფხუტი თუ მართლაც მკვლელს ეკუთვნის, გამოდის მან სამხილთა თაიგული დაუტოვა პოლიციას. რამდენადაც ვიცი, პროფესიონალი მკვლელი მკვლელობის იარაღს შემთხვევის ადგილზე ტოვებს.**

- მეც მაგას ვკითხულობ, სად წაიღო იარაღი? ეს სხვა მკვლელობაშიც ხომ არ ფიგურირებდა, ან კიდევ სხვა დანაშაული ხომ არ მოხდება ამ იარაღით? ფაქტია ეს იარაღი არ ჩანს, არადა მკვლელს პირველი ის უნდა მოეცილებინა. შეიძლება მოიცილა კიდეც, მოპედი და ჩაფხუტი თუ დატოვა, ბარემ იარაღსაც გაწმენდდა და იქ დააგდებდა. მანდ რაღაც ისე არ არის, სხვათა შორის, ხარძიანის მკვლელობას აქვს გახსნის პერსპექტივა, მთავარია გამოძიება და ოპერატიული სამსახურები როგორ იმუშავებენ. იური ვაზაგაშვილის და ეროსი კიწმარიშვილის მკვლელობების გახსნა კი ძალზე რთულია. კიწმარიშვილის მკვლელობის იარაღი შემთხვევის ადგილზე იყო, ვაზაგაშვილის შემთხვევაში მკვლელობა ხელყუმბარით მოხდა, არც თვითმხილველები არსებობენ. სოსანაშვილის ფაქტორიც უკვე აბსურდამდე დადის, შემთხვევის ადგილზე დნმ-ის რამდენიმე კვალი კიდევ აღმოაჩინესო, იქნებ ვინც იქ გაიარა მათი დნმ-ია, რომელ ერთს დაადანაშაულებ მკვლელობაში? ან ის ე.წ. ჩეკა მართლაც იმ ხელყუმბარისაა, რომელმაც ვაზაგაშვილი იმსხვერპლა? შეიძლება სულაც მარტო დეტონატორი ააფეთქა ვინმემ, ან ბავშვებმა დააგდეს. ასე ვარაუდებით ადამიანს პასუხისგებაში ვერ მისცემ. ისიც ითქვა, რომ, რომ თითქოს ფ-1 ტიპის ხელყუმბარა აფეთქდა, რაც ძალზე მეეჭვება, თუ არ ვცდები ამ ხელყუმბარის მოქმედების რადიუსი 200 მეტრია, ფ-1 რომ აფეთქებულიყო, იქაურობას დაანგრევდა. საერთოდაც ხელყუმბარის დადებას დიდი პროფესიონალიზმი ჭირდება, პატარა შეცდომა და თავად მკვლელი იქცევა მსხვერპლად, სიმართლე გითხრათ, ძალიან მეეჭვება, რომ სოსანაშვილი ამ დონის პროფესიონალია. ამ საქმეში ხელჩასაჭიდი თითქმის არაფერია, სოსანაშვილმა დანაშაული რომც აღიაროს, მაინც არ არის საკმარისი მტკიცებულება. ხარძიანის მკვლელობის საქმეში კი არის, ფოტორობოტიც შეუდგენიათ. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ნაპოვნი მოპედი და ჩაფხუტი სულაც არ ეკუთვნოდა მკვლელს.

ადამიანისთვის ოთხი თუ მეტი ტყვიის ასე ცივსისხლიანად სროლა ბევრს არ შეუძლია, თურმე ორი თუ სამი დღე ხარძიანის სახლთან იდგა და უთვალთვალებდა, მესმის სხვა უთვალთვალებდეს და სხვამ ესროლოს, მაგრამ, როცა ერთი და იგივე პიროვნება აკეთებს ამას, გარდა იმისა, რომ ვიღაცის იმედი აქვს, უკიდურესად თავხედიცაა. ამ თვალთვალის შესახებ იცოდა ბესიკ ხარძიანმა და ყურადღება როგორ არ მიაქციაო, ქართველების უბედურება სწორედ ამაშია, უსაფრთხოების ზომების მიღებას საჭიროდ არ ვთვლით, ხარძიანიც ამ მენტალიტეტმა დაღუპა, რამდენ დაზარალებულს უთქვამს ჩემთვისაც კი დავინახე, მაგრამ ყურადღება არ მივაქციეო. აქ მეორე მომენტიცაა, რაც უფრო თავხედურად იქცევა ის პირი ვინც გვაკონტროლებს, უფრო გვგონია, რომ არაფერი მოხდება, ვინც დაფარულად მოქმედებს, იმაზე უფრო ვამახვილებთ ყურადღებას.

რაც შეეხება თელავში მომხდარ მკვლელობას, წესით ამ მკვლელობის გახსნა უფრო ადვილი უნდა იყოს, მაგრამ იქ ისეთი მენტალიტეტის ხალხია, რომ იცოდნენ კიდეც, მაინც არაფერს გეტყვიან. 11 წელი ვცხოვრობდი თელავში და კარგად ვიცნობ იქაურების ფსიქოლოგიას, ძალზე გვიჭირდა საქმის გახსნა, შეიძლება საიდუმლოდ გეტყოდნენ რაღაცას, მაგრამ მოწმედ არავინ წამოვიდოდა. თუ ხარძიანისა და მაისურაძის მკვლელობებს შორის საერთოს ხედავენ, შეადარონ ორივე მკვლელობის შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის მასრები და გულები, იმას მაინც გაარკვევენ ორივე მკვლელობა ერთი და იგივე იარაღით თუ არის ჩადენილი, ერთი მკვლელობა თუ გაიხსნა, მეორეც გაიხსნება. როცა ზაზა ალთუნაშვილის დონის კრიმინალისტ-ბალისტიკოსი გვყავს,


გია უდესიანი

იარაღის იდენტიფიკაცია და სხვა შესაბამისი დეტალების გარკვევა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს.

**- შემსრულებლის ვინაობა რომც დადგინდეს, რა გარანტის გვაქვს, რომ ისევ საქართველოშია? მისი დაკავების შემთხვევაშიც არსებობს შანსი, რომ დამკვეთზეც გავიდეთ და პასუხი ვაგებინოთ?**

- თუ დადგინდა მკვლელის ვინაობა, იმასაც გავიგებთ გავიდა თუ არა, მაგრამ თუ არალეგალურად გავიდა, მაშინ ძალიან რთულია ამის გარკვევა, თუმცა მისამართი ხომ გვეცოდინება. მე დარწმუნებული ვარ, მკვლელი საქართველოს მოქალაქეა, ჩამოსული კაცი ამდენ ტყვიას არ ისვრის, ვერ გარისკავს, თან როგორც გითხარით, ნაღდი ქილერი ორი ტყვიით მოამთავრებს ყველაფერს. შემკვეთზე გასვლა კი ძალზე რთულია, მით უმეტეს, თუ კონსპირაციულად მოქმედებდა. მკვლელმა რომც გითხრას დამკვეთი ეს არისო, მარტო ამის განთქმით დანაშაულს ვერ დაუდასტურებ, ნაცრეჟიმის დროს იყო ერთი საეჭვო მოწმის ჩვენების საფუძველზე რომ უშვებდნენ ხალხს ციხეში. მე იმაშიც ვეთანხმები კობა ნარჩემაშვილს, რომ ხარძიანის მკვლელი შეიძლება სოსანაშვილის მსგავსად ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი იყოს და დაკვეთაც თავისმა უშუალო უფროსმა მისცა. მთავარი დამკვეთი კი ისაა, ვის ინტერესშიცაა „ქართული ოცნებისა" და ნაციონალების დაჯახება, ვერ გრძნობთ, რომ მესამე ძალას ნაციონალები უკვე გამეტებული ჰყავს. მათ საქართველოში თუ არავინ ერჩის, უკრაინაში ვერ გადარჩებიან, ეგენი არიან მოძრავი გვამები, მათი გადარჩენის შანსი არ არსებობს, რადგან განწირული ყავთ. დააკვირდით, ნაციონალების პატრონებისგან ვისზე კეთდება აქცენტი, ალასანიაზე ხომ? წარმავალი ძალა გვყავს ნაციონალების სახით, ახლანდელი რესპუბლიკელების სახით, მომავალი ძალაც აგერ ალასანია, ამით იმას გვეუბნებიან, რომ დროზე გვკარით ხელი, კურსი შეიცვალეთო. თავისით არ დაგვანებებენ თავს, თქვენ გვკარით ხელი, წადით იქით, სადაც ერთადერთი გასაღების ბაზარი გაქვთ, თორემ მომავალში ჩვენი კანდიდატურა ალასანია იქნებაო, ელოდებიან რა არჩევანს გავაკეთებთ. მერწმუნეთ, რაც ქვეყანაში ხდება, მართვადი ქაოსის გამოწვევას ვგულისხმობ, ამას ემსახურება.

**მანანა სუხიშვილი**
**599 51 28 24**

**ვესაუბრებით პარტია „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს – ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს**

**– ქალბატონო ნინო, თქვენი როგორც პოლიტიკური ლიდერის, ისევე როგორც პარტიის რეიტინგი, საკმაოდ დიდია როგორც დღეს, ასევე იყო ყოველთვის, რატომ ვერ მოხვდით 2012 წელს გამარჯვებულ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იქ ბევრი ურეიტინგო პარტია მოხვდა, რა იყო ამის მიზეზი?**

– იმ პერიოდში მე ბატონ ბიძინა ივანიშვილთან მქონდა მხოლოდ ერთი საქმიანი შეხვედრა 2012 წლის აგვისტოში, სადაც ბევრ თემებზე ვისაუბრეთ, მათ შორის სამომავლო განვითარებაზეც, იმ დროს ჩვენს კოალიციაში შესვლაზე საუბარი უკვე აღარ იყო, რადგანაც მე გავაკეთე განცხადება, რომ ჩვენ არჩევნებში არ მივიღებდით მონაწილეობას, მხოლოდ დავეხმარებოდით „ქართულ ოცნებას“, თუმცა გეტყვით, რომ არც გვქონია მცდელობა, რომ კოალიციაში მოვხვედრილიყავით, რადგანაც ჩვენი მიზანი არ ყოფილა მაინცდამაინც ხელისუფლებაში მისვლა. იმ დროს ჩვენი ამოცანა იყო ხელისუფლების შეცვლა და თუ ამას გააკეთებდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი, იმ ეტაპზე ჩვენთვის ეს იყო საკმარისი, და არ იყო იდეაფიქსი კოალიციაში ყოფნა. თუმცა, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ის არჩევანი, რომელიც იმ ეტაპზე მან გააკეთა, იყო ძალიან დიდი შეცდომა, რადგანაც მაშინ მას ჰქონდა ისეთი მორალური ავტორიტეტი, რომ მას უნდა შეეკრიბა სრულიად ოპოზიციური სპექტრი და კოალიციის გარეთ არავინ არ უნდა დაეტოვებინა. ასეთი ფორმით ყველა დაუპირისპირდებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“ და მჯერა, რომ ისინი ხმების 40 პროცენტს ვერ მიიღებდნენ. ასე არ მოხდა, იმიტომ რომ თავად ივანიშვილმა ვერ გადალახა ის შინაგანი წინააღმდეგობები, რაც იყო კოალიციაში ჩემთან და ჩემ პარტიასთან დაკავშირებით, ეს წინააღმდეგობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ **მათ ესმოდათ, თუ მე ვიქნებოდი კოალიციაში, ისინი მეორე და მესამე პლანზე გადაიწევდნენ, იყო მეორე მომენტიც, დიდი როლი ითამაშა ამ დროს ამერიკამ, როცა დაინახეს, რომ ივანიშვილის მოსვლა ხელისუფლებაში რეალური იყო, ყველაფერი იღონეს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის ძალებით შევსებულიყო, დღეს უკვე იმასაც ვფიქრობ, რომ მაშინ არც ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდებოდა ნინო ბურჯანაძე იმიტომ, რომ მას უნდოდა მხოლოდ ისეთი ხალხი კოალიციაში, რომელნიც მას სიტყვას არ უბრუნებენ!**



ნინო ბურჯანაძე:

# 26 მაისის საქმეს ობიექტურად თუ გამოიძიებენ, სააკაშვილს უმძიმესი სასჯელი არ ასცდება

ამ ყველაფერმა საქმე გააფუჭა და არ შედგა ერთიანი კოალიცია. ჩვენ მათ შევთავაზეთ სერიოზული წინადადება, რომ ჩვენ ნაციონალებს შევუტევდით მეორე ფრონტით, ამაზეც უარი მივიღეთ, აღარაფერი გვითქვამს, რადგანაც იმ ეტაპზე მთავარი იყო ნაციონალების მოშორება პოლიტიკიდან, ამიტომ გამოვაცხადეთ, რომ პარტია არ მიიღებდა მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში, თუმცა ეს არ იყო ბოიკოტი, რადგანაც მოვუწოდებდი ჩემი პარტიის მომხრეებს, რომ მხარი დაეჭირათ კოალიცია „ქართული ოცნებისთვის“, ასეც მოვიქეცით და **დღეს მე ამას არ ვნანობ, იმიტომ, რომ იმ დროს ეს იყო ერთადერთი სწორი გამოსავალი.**

**– „აირაის“ კვლევებთან დაკავშირებით რას იტყოდით, თქვენ პარტიას ისინი 5 პროცენტს უწინასწარმეტყველებენ, თუმცა, ალასანიას პარტიას უფრო მეტს, არის ეს რეიტინგი სწორი დღეს?**

– აირაის მსგავსი კვლევები საქართველოში უნდა დასრულდეს, რადგანაც ეს გახლავთ აშკარად შეკვეთილი კვლევები, რომლითაც სურთ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ და მერე სხვადასხვა მაქინაციებით ჩაწერილ ციფრებს ხალხი წინასწარ შეაგუონ, ასევე კატეგორიულად უნდა აიკრძალოს ე. წ. ეგზიტპოლები, არ უნდა გამოცხადდეს პირველადი საარჩევნო შედეგები მინიმუმ ღამის 12 საათამდე, ვიდრე პირველადი დათვლა არ დამთავრდება, ეგზიტპოლების საღამოს 8 საათამდე გამოცხადება არის დანაშაული. თუ შევაფასებთ აირაის დღევანდელ კვლევებს და წინასწარ დადებულ ციფრებს, მაშინ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მომავალ არჩევნებში ხელისუფლებაში მოსული ვართ, თუმცა, არ შემიძლია არ ვთქვა, რომ იმას, რასაც დღეს „აირაი“ აკეთებს, ძალიან არასერიოზულია, თუმცა მათ ქვეშ იგულისხმება ამერიკა, და არა კვლევების ცენტრი, **ისინი პირდაპირ დებენ წინასწარ იმ ციფრებს, რომელიც აწყობს ვაშინგტონს საქართველოში.** მათ სურთ, რომ „ნაციონალები“ როგორმე მოაბრუნონ ხელისუფლებაში, მაგრამ იმასაც ხედავენ, რომ დღევანდელ ეტაპზე ეს არარეალისტურია, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ ისინიც წინ წამოწიონ და ალასანიაც უკან მიადევნონ, რომელიც ნაციონალებისგან დიდად არ განსხვავდება, არც პოზიციებით, არც ხედვით და ძალიან კარგად თანამშრომლობენ ერთმანეთში, არც არასოდეს მალავდნენ ამას.



**– ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე რას იტყვით, დღეს უკვე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ იქ 60 წელია ვერ გაწევრიანდა თურქეთი, ხოლო მასში შემავალი ლატვია როგორც სახელმწიფო, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამდენად სწორია მისკენ მიმავალი გზა და ორიენტაცია?**

– თავისთავად სწორად არ მიმაჩნია საკითხის დასმა ისე, როგორც ამას ხშირად პოლიტიკოსები აკეთებენ, კონკრეტულად ევროკავშირი თუ რუსეთი? ცხადია, რომ ურთიერთობა უნდა გვქონდეს ყველასთან, უბრალოდ იმ დოზით, რა დოზითაც სჭირდება ეს ჩვენს ქვეყანას. ერთიც მინდა ვთქვა, ძალიან ბევრი რამ გვინდა ჩვენ, მაგრამ მეორეა, რა არის რეალური. **როგორც გინდა მოვინდომოთ ნატოში შესვლა, ვიცით, რომ დღეს ეს კარი ჩვენთვის დახურულია. ეს გვითხრა ამერიკის პრეზიდენტმა, გერმანიის კანცლერმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა და ბევრმა სხვამ.** ეს არის ფაქტი და დღეს ეს გამორიცხულია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათთან ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ, უბრალოდ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას და ტყუილები არ ვილაპარაკოთ. რაც შეეხება ევროკავშირს, ძალიან კარგი იქნებოდა, რომ დღეს საქართველო ევროკავშირის წევრი იყოს, მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომელიც იქ არსებობს, მაგრამ ასევე არარეალისტურია დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას არა აქვს ჯერჯერობით ჩამოყალიბებული ის სტანდარტები არც ეკონომიკაში და არც სხვა საკითხებში, რომელიც საჭიროა ევროკავშირის წევრებისთვის. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ისინი ღიად ამბობენ, რომ ევროკავშირი არ არის მზად გაფართოევისათვის, ყველაფერი ცხადია. მაშ, რატომ ვამტვრევთ ღია კარს? რატომ ვიტკიებთ თავს? რაც შეეხება, რუსეთთან ურთიერთობას, ცხადია, რომ ეს კავშირები ჩვენ გვჭირდება, ეს არის სასიცოცხლოდ აუცილებელი ქვეყნისთვის და უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში ის ძალა, რომელსაც ეყოფა გამბედაობა და ხალხს ეტყვის სიმართლეს და იმოქმედებს იმის მიხედვით, რაც სჭირდება სახელმწიფოს. აბა დავფიქრდეთ, ასი წლის წინ ვინმე წარმოიდგენდა, რომ თურქეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გახდებოდა? უნდა ვიყოთ რეალისტები, სიტუაციის შესაბამისად ვიმოქმედოთ, ოღონდ ქვეყნის საკეთილდღეოდ. დღეს ამბობენ, რომ ნატოს გზას არ გადავუხვევთო, ხვალ რომ ნატო დაიშალოს? მერე სად მიდიან?

ის რაც დღეს ქვეყანას სჭირს, არის პოლიტიკური სიბეცე, რაც იმის ბრალია, რომ ხელისუფლებაში არიან მოკალათებული პოლიტიკოსები, რომელნიც დამოკიდებულნი არიან დასავლეთის წყალობაზე, მართულნი არიან! სამწუხაროდ, ამის გამო საქართველოს საკეთილდღეოდ არაფერი არ კეთდება, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხრივ და არც ეკონომიკური თვალსაზრისით.

**– რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა დღეს როგორ წარმოგიდგენიათ?**

– პირველ რიგში საჭიროა ფართომასშტაბიანი დიალოგი, დღევანდელმა ხელისუფლებამ შეცდომა დაუშვა, როცა დაკმაყოფილდა მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენას, ეს თემები ცხადია მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც კი ჩვენთან პოლიტიკური რყევები განვითარდა, მაშინვე დაისვა მათი მხრიდან საკითხი იმაზე, რომ ბაზარი დაიხურება, სიტუაცია გართულდება და ა.შ. მიმაჩნია, თავი და თავი საკითხებისა თუ არ მოვაგვარეთ, მარტო ეკონომიკური კავშირი მათთან ხელს არ მოგვცემს. მათთან პოლიტიკური დიალოგის დაწყების გარეშე, მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდებით. იმასაც დავძენდი, რომ ყოველდღე და თანდათან ამ პოლიტიკური დიალოგის დაწყების შანსს ვკარგავთ, დრო ჩვენს საწინააღმდეგოდ მუშაობს. სამწუხაროდ, დღევანდელ ხელისუფლებას ეშინია, პრორუსულობა არ დაგვაბრალონო და ვერ დგამენ საჭირო პოლიტიკურ ნაბიჯს, ეს დამღუპველია.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

# ძლიერი რეგიონი —

# მთავრობის ახალი პროექტის პრეზენტაცია ქვემო ქართლში











საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის კაბინეტის წევრებთან ერთად, ქვემო ქართლის რეგიონს ესტუმრა და მხარეში მიმდინარე პროექტები ქვემო ქართლის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, გუბერნატორ პაატა ხიზანაშვილთან, მხარის მუნიციპალიტეტების გამგებლებთან და რუსთავის მერთან ერთად განიხილა.

პრემიერ-მინისტრმა მოისმინა ინფორმაცია ქვემო ქართლში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების შესახებ, კმაყოფილება გამოთქვა არსებული მდგომარეობით და მხარის, რაიონებისა და რუსთავის ხელმძღვანელობას კიდევ უფრო მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა.

მთავრობის მეთაური განაგრძობს სამუშაო შეხვედრებს რეგიონებში – რაიონების გამგებლებთან და ქალაქების მერებთან, რათა მათ გააცნოს ახალი სამთავრობო პროექტი „ძლიერი რეგიონი – ძლიერი საქართველოსთვის“.

**„ამ პროექტის მიზანია რეგიონების გაძლიერება და ფეხზე დაყენება, ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობა, საწარმოების აღდგენა, რეგიონების მოსახლეობის დასაქმება — ჩვენი რეგიონების სტრატეგიული, ეკონომიკური განვითარება“, –** განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა ათიოდე დღის წინ ანაკლიაში გამართულ შეხვედრაზე.

ამჯერად პროექტის პრეზენტაცია ქვემო ქართლში, მარნეულში გაიმართა.

მხარის რწმუნებულ-გუბერნატორმა პაატა ხიზანაშვილმა პრეზენტაციის დაწყებისას აღნიშნა, თუ რაოდენ **„მნიშვნელოვანი ინიციატივაა „რეგიონების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში მთავრობის წარმომადგენელთა შეხვედრა ბიზნესმენებთან და საერთოდ, ბიზნესის განვითარებისთვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა. დღევანდელი ფორუმი მთავრობის განსაკუთრებული მხარდაჭერაა ქვემო ქართლის რეგიონისთვის, აქ დასაქმებული ბიზნესმენებისთვის, აქაური მოსახლეობისთვის...“**

მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის გამოსვლაში დაწვრილებით ილაპარაკა ქვემო ქართლში უკვე განხორციელებულ პროექტებზე როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგებში, ჯანდაცვის, განათლების, სოციალურ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე, მოზიდულ ინვესტიციებზე... პრემიერ-მინისტრმა დეტალურად მიმოიხილა ქვემო ქართლის რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი მიმართულებები.

### ქვემო ქართლის რეგიონში უკვე განხორციელებული,მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები:

ქვემო ქართლში, მხოლოდ გასულ წელს 47 მილიონ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა. რეგიონში ინვესტიციები განხორციელდა გადამმუშავებელი მრეწველობის, სამთო-მოპოვებითი მრეწველობის, ენერგეტიკის, უძრავი ქონების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დარგებში.

- **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროექტის ფარგლებში, ქვემო ქართლში გაიცა 5 500-მდე სესხი, რომელთა საერთო ღირებულება 114 მილიონ ლარზე მეტია;
- დაფინანსდა 18 **ახალი საწარმო**, რისთვისაც 9 მილიონ ლარზე მეტი გაიცა;
- სახელმწიფოს დახმარებით, რეგიონში **გადაიარაღებულია** 89 საწარმო, რისთვისაც გაცემულია 18 მილიონ ლარზე მეტი;
- **„აწარმოე საქართველოში“** – ამ პროგრამის ფარგლებში 13,9 მილიონზე მეტი დოლარით დაფინანსდა 12 საწარმო, მათ შორის – 10 ახალი. მეწარმეებს გადაეცათ 3,6 მილიონი ლარის ოდენობის ქონება;
- 2015 წლის **საგაზაფხულო სამუშაოების** ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში დახმარება მიიღო 92 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა, რისთვისაც გამოიყო 7,5 მილიონზე მეტი ღირებულების სარგებელი;
- 2014 წელს **დახმარება** მიიღო 100 ათასზე მეტმა, ხოლო 2013-ში – 105 ათასზე მეტმა ბენეფიციარმა;
- ქვემო ქართლის რეგიონში **სასოფლო-სამეურნეო სტატუსი** მინიჭებული აქვს 94 კოოპერატივს;
- **აგროდაზღვევის პროექტის** ფარგლებში ქვემო ქართლში გაცემულია 207 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულება 6,5 მილიონ ლარზე მეტია.
- რეგიონში აქტიურად მუშაობს **სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი**, რაც მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის;
- ფუნქციონირებს **სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მარნეულის საველე სადგური**, რომელიც ნაყოფიერად მუშაობს ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკაზე;
- **სარწყავი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია** – მიმდინარეობს 28 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები. დასრულდება 2014 წელს დაწყებული 10 ობიექტი და 3 ახალი ობიექტის რეაბილიტაცია დაიწყება;
- მიმდინარეობს **თბილისი-რუსთავის ავტომაგისტრალის** პირველი და მესამე მონაკვეთების მშენებლობა, რომლის საერთო ღირებულება 88 მილიონ ლარზე მეტია; მიმდინარე წელს გამოცხადდება სამშენებლო ტენდერი მეორე მონაკვეთზე, რომლის საორიენტაციო ღირებულება 116 მილიონი ლარია; ავტომაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებულია 250 ადამიანი;
- მარნეულში დასრულდა **წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია** და წყალმომარაგებასთან დაკავშირებული სამუშაოები – პროექტის ღირებულება 700 ათასი ლარია;
- დაწყებულია **ბოლნისის წყალმომარაგე-**

# ძლიერი საქართველოსთვის

**ბის სისტემის რეაბილიტაცია** და მომავალ წელს ბოლნისი უზრუნველყოფილი იქნება 18-24-საათიანი წყალმომარაგებით. პროექტის ღირებულება თითქმის 3,5 მილიონი ლარია.

● მიმდინარე წელს დაიწყება **წალკის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები**, პროექტის ღირებულება 3 მილიონ ლარს აჭარბებს;

● იგეგმება **თეთრიწყაროს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია**. პროექტის ღირებულება 2 მილიონზე მეტია.

● 2013-2014 წლებში 353,51 კმ **საავტომობილო გზა შეკეთდა;**

● ჩატარდა **ნაპირსამაგრი სამუშაოები** და ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება;

● რეგიონში ხორციელდება **მყარი ნარჩენების მართვის პროექტები**;

● **„სინათლე ყველა სოფელს“** — ამ პროექტის შედეგად ელექტროენერგია მიეწოდება წლების განმავლობაში უშუქოდ დარჩენილ სოფელ საგუთლოს;

● გარდაბნის მუნიციპალიტეტში დაიწყო 230 მეგავატი სიმძლავრის **თბოელექტროსადგურის მშენებლობა**. ეს არის 220 მილიონი დოლარის ინვესტიცია;

● ლიცენზირებისა და მშენებლობის ეტაპზეა **„დებედაჰესი“**, ხოლო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე — **„თრიალეთიჰესი“**;

● 2013-2014 წლებში **ბუნებრივი აირის** ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცა 15 ათას ოჯახს; ბუნებრივი აირის ინდივიდუალური მრიცხველი დაუმონტაჟდა 16 ათასზე მეტ ოჯახს;

● ქვემო ქართლის რეგიონში 119 **სკოლა გარემონტდა**;

● თეთრიწყაროს რაიონის სოფელ სამღერეთში **აშენდა ახალი საჯარო სკოლა**;

● მიმდინარე წელს დაგეგმილია **40 სკოლის რეაბილიტაცია**, კიდევ ერთი **საჯარო სკოლის მშენელობა** და ასევე მარნეულის პირველი **სკოლის ახალი შენობის პროექტირება**;

● ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს საშუალება ეძლევათ უფასოდ, დისტანციურად, ელექტრონულ ფორმატში, ონლაინრეჟიმში **ისწავლონ სახელმწიფო ენა**;

● ქვემო ქართლის 7 რაიონულ ცენტრს 25 **ახალი სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა** ჰყავს.

● რეგიონში გაიხსნა 6 **ახალი ამბულატორია**;

● რეგიონში გაიხსნა **სასაზღვრო პოლიციის თანამედროვე სტანდარტების შენობები**, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით;

● **სასჯელაღსრულების დეპარტამენტის** ოთხ დაწესებულებაში განხორციელდა ინფრასტრუქტურული პროექტები და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები;

● ქვემო ქართლში, მუშაობს **პრობაციის ბიუროს ოფისები**, ხორციელდება პირობით მსჯავრდებულთა სარეაბილიტაციო პროგრამები;

● რამდენიმე დღეში რუსთავში გაიხსნება **ქვემო ქართლის რეგიონული არქივი**;

### ქვემო ქართლის ეკონომიკური პოტენციალი: ძირითადი მიმართულებები

**ირაკლი ღარიბაშვილი:** „ქვემო ქართლში არის განსაკუთრებით ბევრი მიწის ფართობი, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაშია და მათი ინვესტორებისთვის საპრივატიზაციოდ შეთავაზების შედეგად შესაძლებელია მასშტაბური პროექტების განხორციელება.

აქ არის ძალიან მნიშვნელოვანი ბაზა იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვითარდეს ხორცისა და ხილ-ბოსტნეულის გადამუშავება, რძის წარმოება, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, მებაღჩეობა-მებოსტნეობა, საკონსერვო წარმოება. კარგი რესურსია აგრეთვე სასაწყობე და სამაცივრე მეურნეობების განსავითარებლად“.

● პერსპექტიულია ინდუსტრიული წარმოება.

**რუსთავი** — ფოლადის, მინერალური სასუქების, თუჯის, ფეროშენადნობების, პლასტმასის ტარის, ლითონის სამშენებლო ნაკეთობების, არაორგანული ქიმიური ნივთიერებების, ტყავის წარმოების, ფქვილის, ლუდისა და გამაგრილებელი სასმელების წარმოების განსაკუთრებული რესურსი;

**ბოლნისი** — ტუფისა და ბაზალტის მოპოვება-დამუშავების რესურსი;

**გარდაბანი** — რძის გადამუშავების, მებოსტნეობა-მებაღჩეობის პროდუქტების გადამუშავების, ასევე მატყლის, თევზის გადამუშავების რესურსი;

**დმანისი** — ქვის მოპოვება-გადამუშავების რესურსი;

**თეთრიწყარო** — ბაზალტისა და ყვითელი ტუფის ქვის მოპოვებისა და გადამუშავების რესურსი;

**მარნეული** — ბაზალტის, მარმარილოს, თეთრი ქვისა და სხვა მინერალური რესურსების საბადოების გამოყენების, თხევადი ორგანული ბაქტერიული სასუქის წარმოების რესურსი;

**წალკა** — მიკროჰესების, საკონსერვო და ტყავის წარმოების, მარცვლეულის გადამუშავების რესურსი, წისქვილების ამუშავება.

რუსთავში, მარნეულსა და გარდაბანში განსახორციელებელი პროექტების საინვესტიციო ღირებულება 38 მილიონ ლარს აჭარბებს.

პროექტის პრეზენტაციის დასასრულს პრემიერ-მინისტრმა მიმართა ბიზნესმენებს, მაქსიმალურად გამოიყენონ ქვემო ქართლის რეგიონში საინტერესო ბიზნესპროექტების განხორციელების შესაძლებლობა და აღნიშნა, რომ სახელმწიფოსგან მათ კონკრეტული მხარდაჭერა ექნებათ:

**„იქნება მეწარმეთა მაქსიმალური ხელშეწყობა, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების უზრუნველყოფა, ბუნებრივ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ადმინისტრაციული მხარდაჭერა. მჯერა, რომ ერთობლივად ძალიან ბევრ პროექტს განვახორციელებთ“.**

ახალი სამთავრობო პროექტი „ძლიერი რეგიონი — ძლიერი საქართველოსთვის“ — ეს არის ახალი საწარმოების დაფუძნებისა და ამუშავების, კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილების შექმნის, ხალხის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შექმნილი მასშტაბური გეგმა, რომელიც საბოლოო შედეგით ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებასა და მომძლავრებას, ხოლო საქართველოს თითოეული კუთხის გაძლიერება მთლიანად ქვეყნის გაძლიერებას ნიშნავს.

**ნინი გოგინაშვილი**











**საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს**

**საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ გიორგი ბადაშვილს**

**საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ბატონ კახი კალაძეს**



# საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის „რუხი კარდინალები“

„საერთო გაზეთის“ №9-11-12 ნომრებში გამოქვეყნდა ჟურნალისტ მანანა სუხიშვილის ვრცელი სტატია სათაურით „საუკუნის ძარცვა, ანუ ენერგომაფია და ქართული ენერგეტიკის რუხი კარდინალები“, სადაც საუბარია წლების მანძილზე როგორ მიზანმიმართულად ხდებოდა ქართული ენერგეტიკის გაჩანაგება.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგაც საქართველოში ერთიანი ენერგოსისტემა მოქმედებდა „საქენერგოს“ სახით.

მსოფლიო ბანკის რეკომენდაციით, 1999 წელს შექმნეს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება, თუმცა ამ თავსმოხვეულმა „ნოვაციამ“ არ გაამართლა და საბითუმო ბაზარი მოგვიანებით, ნაციონალების მმართველობის პერიოდში გააუქმეს.

2001 წლიდან სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ენერგეტიკული საწარმოების იძულებითი გამსხვილება დაიწყო, ისინი ზემოხსენებულ სადისტრიბუციო კომპანიაში გაერთიანდნენ, რომელიც მალევე სამართავად გადაეცა კომპანია „პიეი კონსალტინგს“ (ხსენებული დინ უაითი ამ კომპანიის შეფიც გახლდათ), რომელმაც კონსულტირების მიზნით, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დამენია, ვარშალომიძე, ნოლაიდელი და ქავთარაძე“ დაიქირავა, ხოლო ფინანსურ საკითხებში მთავარი კონსულტანტი ზურაბ ნოღაიდელი გახდა, რომელიც მართალია აღარ იკავებდა ფინანსთა მინისტრის პოსტს, მაგრამ გავლენები არ შესუსტებია. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ხელშეწყობა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ მიმართ, მისი შემოწმების უფლება არავის ჰქონდა, შედეგად დაგროვდა უამრავი ვალები, თუმცა კომპანიის ანგარიშებისთვის ყადაღა არასდროს დაუდიათ. სხვათა შორის, ენერგეტიკის მინისტრის დღევანდელი მოადგილე ილია ელოშვილიც ამ კომპანიაში მუშაობდა, მაგრამ მთავარი იდეოლოგი მაინც ზურაბ ნოღაიდელი იყო.

გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიამ შექმნისთანავე დაიწყო პერმანენტული შეტევები კერძო ელექტროგამანაწილებელ კომპანიებზე, რამაც მასიური სახე 2004 წელს მიიღო, საქმეში მედიაც ჩაერთო, რომელიც არ არის გამორიცხული, რომ მიზანმიმართულად ეწეოდა ხსენებული კომპანიების დისკრედიტაციას, ბრალს სდებდა ელექტროენერგიის დატაცებაში და მრავალ სხვა დანაშაულში. საბოლოოდ ეს კამპანია იმით დასრულდა, რომ სემეკმა 2004 წლის 23 ივნისს ერთდროულად 21 ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია გააუქმა, კომპანიათა ნაწილმა სემეკის ხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა, ექვსმა მათგანმა დაიბრუნა ლიცენზია, მაგრამ ნოღაიდელი ვის რას დაუთმობდა, მით უმეტეს, რომ უკვე პრემიერ-მინისტრი გახლდათ. მან პროტეჟე სადისტრიბუციო კომპანია, რომელიც მოგვიანებით ასევე თავის ფავორიტ „ენერგოპროს“ მუქთად გადაულოცეს, მთლად ხელშეუხებლის რანგში აიყვანა. იმ პერიოდში ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ბრძანდებოდა, რომელიც თურმე ერთი პერიოდი ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარშიც მუშაობდა. 2006 წელს საქართველოს კანონში „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი აირის შესახებ“ შეტანილი ცვლილებების მეშვეობით, ელექტროენერგეტიკის სექტორში სისტემური ცვლილებები განხორციელდა, ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამოსილება მიენიჭა, რომ ელექტროენერგიის განაწილების მინიმალური ზღვარი დაედგინა, რითაც ხსენებულმა უწყებამ ისარგებლა და განაწილების მინიმალურ ზღვრად 120 მილიონი კვტ.სთ დაადგინა. შედეგად ქვეყანაში თითზე ჩამოსათვლელი ლიცენზიატები დარჩნენ, სს „თელასი“, სს „საქართველოს გაერთიანებული ენერგოდისტრიბუცია“, სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანია“, ყველა დანარჩენს ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილებით ლიცენზია გაუუქმეს. „საერთო გაზეთის“ ინფორმაციით, ლიცენზიის გაუქმების უფლებამოსილ ორგანოს, ანუ სემეკს ამ შემთხვევაში მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია დაუტოვეს. გაერთიანებული ენერგოდისტრიბუციისა და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივების გასხვისების შემდეგ, ქვეყანაში დარჩა სამი გამანაწილებელი კომპანია, „თელასი“, სს „ენერგოპრო-ჯორჯია“ და სს „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“, რამაც ამ სფეროში მონოპოლიური მდგომარეობა შექმნა, ამის შედეგია ელექტროენერგიის დაუსაბუთებლად გაზრდილი ტარიფი და ზრდის ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება. 2007 წლის ივნისში „თელასის“ მფლობელ რუსულ „ინტერ რაოოესსა“ და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელსაც „რაოს“ წარმომადგენელი რაპოპორტი და პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწერენ ხელს. იურისტთა განცხადებით, ამ შემთხვევაში პრემიერმა ნოღაიდელმა იმ მასშტაბის დარღვევა ჩაიდინა, რომ ნორმალურ სახელმწიფოში მისი იმპიჩმენტის საკითხი დადგებოდა, მემორანდუმი არ ყოფილა იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი, საქართველოს მთავრობამ კი მემორანდუმის საფარქვეშ კანონზე მაღალი ნორმები ჩადო, რომლის პრეროგატივაც პრემიერ-მინისტრს არ გააჩნდა. დედაქალაქის მოსახლეობისთვის დენის ტარიფი 2007 წლის ბოლოდან უნდა შემცირებულიყო, თუმცა ბატონმა ნოღაიდელმა სემეკის ფუნქცია იტვირთა და „თელასს“ ტარიფი 2015 წლამდე დაუწესა და „გვახარა“, 2015 წლის 1 სექტემბრამდე „თელასი“ დენს აღარ გაგიძვირებთო. თურმე სულ ტყუილად „გვიხაროდა“, რადგან მემორანდუმად წოდებულ დოკუმენტში მითითებულია, რომ ტარიფის გადახედვა, ანუ ზრდა, მოხდება იმ შემთხვევაში, თუ პირველი – ინფლაცია 10%-ს გადააჭარბებს და მეორე – ლარის კურსი დოლართან მიმართებაში ასევე 10%-ით შეიცვლება. დღეის მდგომარეობით, ეს ორივე ნელი მოქმედების ნაღმი ასაფეთქებლადაა გამზადებული. უპრიანია ამ თემით სამართალდამცავი დაინტერესდნენ, რისკენაც ჯერ კიდევ 2007 წლიდან მოუწოდებდნენ ჟურნალისტები, თუმცა უშედეგოდ. ავ ენებს თუ დავუჯერებთ, დიდი ზარზეიმით შემოყვანილი, გაურკვეველი წარმომავლობის „ენერგოპროს“ უკან სწორედ ნოღაიდელი იდგა. რა პრინციპით მიანიჭეს უპირატესობა ამ კომპანიას ესეც სამართალდამცავთა გასარკვევია, რადგან „ენერგოპროს“ თურმე ხეირიანად ჩეხეთშიც კი არ იცნობდნენ, რომელიღაც მიყრუებულ სოფელში ჰქონდა ძალზე მოკრძალებული ოფისი. 2006 წელს, როცა ეს კომპანია გამოჩნდა და მუქთად ჩაიგდო ხელში ქართული ენერგოაქტივები, ავსტრიული კომპანიასაც ჰქონია ინტერესი, რომელიც გაცილებით უკეთეს პირობებს გვთავაზობდა, მაგრამ უპირატესობა მაინც ე.წ. ჩეხურ კომპანიას მიანიჭეს, რაც ცხადია, სერიოზული ეჭვის საფუძველს იძლევა. მოგვიანებით ნოღაიდელი სააკაშვილის კარის სხვა უფრო გავლენიან ფიგურებს ჩაუჩოჩებიათ „ქერის ორმოდან“, რასაც ბატონი ზურაბის გაოპოზიციონერება მოყვა, მაგრამ ჩვენი ინფორმაციით ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ნოღაიდელი კვლავ დიდი გავლენებით სარგებლობს ქართულ ენერგოსივრცეში და „ენერგოპრო ჯორჯიას“ მართვაშიც აქტიურად ერევა. აქვე ყოფილა ალექსანდრე ხეთაგურიც, რომლის ენერგეტიკის მინისტრობის დროსაც „რაოსთან“ ახალი მემორანდუმი გაფორმებულა და თბილისელებმა დენის ტარიფის შემცირებაზე უკვე 2025 წლამდე აღარ უნდა ვიოცნებოთ.




პოსტსაბჭოთა სივრცეში ელექტროენერგიის ყველაზე მაღალი ტარიფი საქართველოშია, ჰიდრორესურსების თვალსაზრისით, უმდიდრეს ქვეყანაში, რომელიც არც ჰიდროელექტროსადგურების სიმცირეს უჩივის, მაგრამ ქართველი „ენერგომამების“ უსაზღვრო მადის გამო, დენის ტარიფი „რეკორდულ“ მაჩვენებელს უტოლდება. 2005-2007 წლებში დენის ტარიფი 218%-ით გაიზარდა, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ხელისუფლების სათავეში მოქ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №9-12

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი




ცეულმა ნაციონალებმა „თელასზე“ გაცილებით უკეთესი პირობები „ენერგოპროს“ შეუქმნეს, კომპანიას, რომელსაც ერთი თეთრის ინვესტიცია არ ჩაუდია, ხელშეკრულებაში ჩაუწერეს, რომ მისი მარჟა სხვა გამანაწილებელ კომპანიებზე არანაკლები უნდა ყოფილიყო და „თელასის“ მგავსად, მასაც ელექტროენერგიის განაწილების 8-თეთრიანი ტარიფი დაუწესეს, ესეც არ „აკმარეს“, სიმბოლურ ფასად გადაცემულ „საქართველოს გაერთიანებული ენერგოდისტრიბუციის კომპანიისა“ და „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივებს, ხურდაში ექვსი ელექტროსადგური მიაყოლეს და გადამცემი ქსელებიც „უფეშქაშეს“. საქმე იმაშია, რომ „ენერგოპროს“ აქტივების შესაძენად დადგენილი მიზერული თანხაც წინასწარ არ გადაუხდია, თავიდან მისთვის გადახდის ერთწლიანი გრაფიკი დაუდგენიათ, მაგრამ მერე გადახდილად ჩაუთვლიათ და უკან დაუბრუნებიათ, ელექტროენერგია უნდა ეყიდაო. თუკი არ შეიძლებოდა სახელმწიფოში ერთიანი ენერგოსისტემის არსებობა, მაშინ ანალოგიური სისტემა რატომღა შეიქმნა კერძო სექტორში? როგორც „ენერგოპრო ჯორჯიას“, ისე „თელასსაც“ აქვს მართვაში ჰიდროელექტროსადგურები (ხრამი-1, ხრამი-2), ქვესადგურები და გადამცემი ხაზები, ასევე თბოელექტროსადგურის (თბილსრესი) მე-9 და მე-10 ენერგობლოკები. კანონმდებლობით, გადამცემი, ანუ სატრანსპორტო ხაზები თურმე ისევ სახელმწიფო საკუთრებად ითვლება და იქნებ ვინმემ აგვიხსნას, ამ შემთხვევაში რასთან გვაქვს საქმე. ხრამჰესის ორი უნიკალური ელექტროსადგური „თელასს“ თავიდან (1999 წელი) 25-წლიან მართვაში გადასცეს, ნაცხელისუფლებას მმართველობის მიწურულს, ხსენებული ჰიდროელექტროსადგურების მართვის ვადა 99 წლით გაუგრძელებიათ, რაც ფაქტობრივად, საკუთრებაში გადაცემას ნიშნავს, სავარაუდოდ ეს ელექტროსადგურები „თელასს“ სიმბოლურ ფასად მიყიდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ენერგოპრო ჯორჯია“ ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად გადამცემ ქსელებსაც ფლობს და თურქეთთან დამაკავშირებელ 100 კილოვატიან გადამცემსაც აშენებს. მხოლოდ ენგურჰესიღაა სახელმწიფო მფლობელობაში, თუმცა მის მიერ გამომუშავებული იაფი ელექტროენერგიის საქართველოს 60%-იანი წილიდანაც 40% „ენერგოპროს“ განკარგულებაშია, რომელსაც გაათმაგებულ (უფრო მეტიც) ფასში აწვდის რეგიონების მოსახლეობას. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, დედაქალაქში დენის ტარიფი სამი თეთრით შემცირება ენგურჰესის კვოტის გადანაწილების ხარჯზე მომხდარა და არა ენერგეტიკის მინისტრის პირადი კავშირების ხარჯზე.

თავის დროზე ამბობდნენ, რომ „ენერგოპრო“ არავითარი ჩეხური კომპანია არ იყო, ნოღაიდელმა და მისმა გუნდმა უბრალოდ სახელი იყიდეს. ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობისას დაახლოებით 60 მილიონი ევროს კრედიტი აიღეს ჩეხეთის ექსიმბანკიდან ქართული აქტივების დაგირავების ხარჯზე, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია აღარ ხდებოდა, სახელმწიფო გარანტიით კერძო კომპანიის მიერ ვალის აღება. ნაცხელისუფლებამ „ენერგოპრო“ ჩეხურ ბანკს დააფინანსებინა, რომ ყველაფერი ლამაზად შეეფუთათ. ის ვერსიაც მოვისმინეთ, რომ ხსენებული კომპანია მოსკოვიდან იმართება და მის მიმართ ინტერესი ნოღაიდელის გარდა, რუსებსაც აქვთ.

როგორც აღვნიშნეთ, სადისტრიბუციო კომპანიას 2004 წლისთვის უზარმაზარი ვალები ჰქონდა დაგროვილი, მის გაკოტრებასთან დაკავშირებით, სასამართლოში განაცხადიც ყოფილა შეტანილი, თუმცა მფარველად მარტო მთავრობა კი არა, პარლამენტიც მოევლინა.

საქართველოს მთავრობამ 2006 წლის დასაწყისში კანონში შესატანი მორიგი ცვლილებით მიმართა პარლამენტს, ენერგოსექტორში „მოღვაწეთ“ უფლება მივანიჭოთ, რომ გადავადებით ორჯერ ისარგებლონო, რაც რა თქმა უნდა პარლამენტმა ისევ დაჩქარებული წესით მიიღო. გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ზურაბ ნოღაიდელს, თუნდაც პრემიერ-მინისტრის რანგში, იმ დონის გავლენა ჰქონდა, რომ პარლამენტს კანონში ორჯერ შეეტანა ცვლილება, ცხადია, კვალი უფრო ზემოთ, მიხეილ სააკაშვილთან მიდის.



„საერთო გაზეთს“ ძალზე საინტერესო დოკუმენტები ჩაუვარდა ხელში, რომელიც წყაროს მიერ მოწოდებულ ინფორმაციებს ოფიციალურად ადასტურებს. 2007 წლის 27 იანვრით დათარიღებულ საქართველოს მთავრობის №33 განკარგულება, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აწერს ხელს, ჰიდროელექტროსადგურების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებას და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების რეალიზებას ეხება, სადაც ვკითხულობთ, რომ „საქართველოს ენერგეტიკული სექტორის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მდგრადი განვითარების მიზნით, მოწონებული იქნეს, ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასა“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიას“ და, მეორე მხრივ, „ენერგოპრო ეი.ეს“-სა და სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ შორის გასაფორმებელი „ჰიდროელექტროსაგურებისა და ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი და საქართველოს მთავრობასა და „ენერგოპრო ეი.ეს“-ს შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი“. 2007 წლის 2 თებერვალს, საქართველოს პრეზიდენტის №35 განკარგულებაც „გამოცხვა“ ჰიდროელექტროსადგურების აქტივების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ და „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონების მოშველიებით, „მაოხრებელმა გზირმა“ სააკაშვილმა ჰიდროელექტროსადგურების: „ლაჯანური“; „რიონი“; „გუმათი“; „შაორი“; „ძევრულა“ და „აწის“ აქტივები პირდაპირი მიყიდვის ფორმით 73.500.000 აშშ დოლარად ან მის ექვივალენტურ ლარად სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ იმ პირობით გადასცა, რომ მას საპრივატიზაციო თანხა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს ერთი წლის განმავლობაში უნდა გადაეხადა, საპრივატიზაციო თანხის გადახდიდან არა უგვიანეს ერთი წლისა, უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრის არანაკლებ 85%-ის შენარჩუნება, ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად, სს „ენერგოპრო ჯორჯიას“ უნდა შეესყიდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ აქტივები. ხსენებულ განკარგულებაში ერთი ძალზე საგულისხმო პუნქტიცაა, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობას უნდა უზრუნველეყო ზემოთ ჩამოთვლილი ჰიდროელექტროსადგურების აქტივების საპრივატიზებოდ მომზადება და შესაბამისი განკარგულების პროექტის წარდგენა პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლური ფასით (1000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი) სს „ენერგოპრო ჯორჯიასთვის“ გადაცემის შესახებ. „ენერგოპრო ჯორჯიას“ მოგვიანებით კიდევ ორი ჰიდროელექტროსადგური გადასცეს, მათ შორის ზაჰესი, რომელიც პირდაპირი წესით მიეყიდა. ეს ჰესი „ენერგოპრო ჯორჯიასთვის“ დაახლოებით 18 მილიონ დოლარად მიუყიდიათ, ეტყობა ნაციონალებს არჩევნებისთვის ფული ჭირდებოდათ, თორემ მასაც მუქთად გადასცემდნენ. საქმე იმაშია, რომ იმ პერიოდში ზაჰესი ორთაჭალჰესის დირექციას ჰქონია იჯარით აღებული, იჯარის ვადა გასული არ იყო, ისე გააუქმეს, თავიდან საქართველოდან წასულ ოს ბიზნესმენებს 40 თუ 42 მილიონ დოლარად მიყიდეს, მაგრამ მერე მათ წაართვეს და „ენერგოპრო ჯორჯიაზე“ გაცილებით იაფად გაასხვისეს. პრივატიზაციამდე ცოტა ხნით ადრე ხსენებული ექვსი ჰესის რეაბილიტაცია მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით მომხდარა. ამ ჰესების უმრავლესობის რეაბილიტაცია უკვე დამთავრებული, როცა ნაცხელისუფლებამ ენერგეტიკის სფეროში დიდი პრივატიზაცია გამოაცხადა, საპრივატიზაციო ნუსხაში ეს რეაბილიტირებული ჰესებიც მოხვდა. ჰესების სარეაბილიტაციოდ აღებული სესხები სახელმწიფოს შერჩა, რადგან ყველა მათგანი სახელმწიფოს გარანტიით იყო აღებული, რეაბილიტირებული ქონება კი, რომლის რეალური ღირებულება 300 მილიონ დოლარს უტოლდებოდა, სიმბოლურ ფასად გადასცეს „ენერგოპრო ჯორჯიას“. სესხის ოდენობა, გაცილებით მეტი ყოფილა მათი რეალიზაციიდან შემოსულ თანხაზე, თუ საერთოდ გადაიხადა „ენერგოპრო ჯორჯიამ“. თუ ამ ჰესების გაყიდვას აპირებდნენ, მაშინ რა საჭირო იყო მათი რეაბილიტაცია, თანაც უცხოური კრედიტით? ეს კითხვა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილსა და ზურაბ ნოღაიდელს უნდა დაუსვას. პრივატიზაცია მხოლოდ ჰესების უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემით არ შემოფარგლულა, „ენერგოპრო ჯორჯიას“ ლაჯანჰურჰესის უძრავ-მოძრავ ქონებასთან ერთად ცაგერის რაიონში 919.800 კვ.მ მიწის ფართობიც გადაეცა, რიონჰესის შემთხვევაში ქუთაისისა და თერჯოლის რაიონში 717.600 კვ.მ, გუმათჰესი – თერჯოლის რაიონში 246.793 კვ.მ, შაორჰესი – ტყიბულისა და ამბროლაურის რაიონებში 822.000 კვ.მ; ძევრულჰესი – ტყიბულისა და თერჯოლის რაიონებში 136.233 კვ.მ; აწჰესი – ქედის რაიონში (აჭარა) 28.896 კვ.მ. საბოლოო ჯამში 2.870.613 კვ.მ ექვს ჰესთან ერთად, სულ რაღაც 73,5 მილიონ დოლარად საფასურის გადახდის ერთწლიანი გადავადების რეჟიმში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ საქართველოს წინა მთავრობის მხრიდან ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული, რომლის კვალიფიკაციის განსაზღვრაც შესაბამისი სტრუქტურების კომპეტენციაა. სწორედ ამიტომ მივმართავთ პრემიერ-მინისტრს, მთავარ პროკურორსა და ენერგეტიკის მინისტრს, რომ მათ დაუყოვნებლივ მოახდინონ რეაგირება ამ საკითხთან დაკავშირებით.

**„საერთო გაზეთი“**

# დიმა ლორთქიფანიძე:

# ხელისუფლებამ აღკვეთა ირაკლი ალასანიას პროვოკაციული ინიციატივა, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნილიყო

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი **დიმა ლორთქიფანიძე:**

**— ბატონო დიმა, ქვეყანაში ქუჩის ტერორი დაბრუნდა, რაც ბევრს „მხედრიონის“ პერიოდს ახსენებს. გაჩნდა დაუცველობის და იმის შიში, რომ სამართლიანობის აღდგენის მაძიებელნი სათანადოდ დაისჯებიან. რამდენად უკავშირდება შექმნილი სიტუაცია ხელისუფლების დაგვიანებულ რეაქციებს და ასე სადამდე შეიძლება მივიდეთ?**

— რამდენიმე დღის წინ, პოლიტიკური ტერორის კიდევ ერთი მსხვერპლი, ბესო ხარძიანი მიწას მივაბარეთ. რა თქმა უნდა, ახლო პერიოდში მომხდარი ეროსი კიწმარიშვილის ბურუსით მოცული გარდაცვალება, საკუთარი შვილის საფლავზე იურა ვაზაგაშვილის ცინიზმით აღსავსე აფეთქება და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი ბესო ხარძიანის მკვლელობა, პოლიტიკური მოტივაციით ნაკარნახევი ტერორებია, რომლებიც მიზნად მხოლოდ ამ პირთა ლიკვიდაციას კი არ ისახავდა, არამედ კონკრეტული პოლიტიკური წრეების მიერ მომზადებულ მზაკვრული გეგმის სისრულეში მოყვანას. ეს, ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქტია. სხვათა შორის, პრეზიდენტმა პარლამენტში ვიზიტისას ტერორისტული აქტების სერიას პოლიტიკური შეფასება არ მისცა. მარგველაშვილის პასიურობა მიანიშნებს შემდეგზე — ე.წ. პრო-დასავლური ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ძალები **ქვეყნის ესკალაციაში** არიან დაინტერესებულნი. ეს ძალები ბესო ხარძიანის გასვენებაში არც კი მოსულან და არც ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთათვისაც ადამიანის უფლებების დაცვა ვითომ მთავარი პრიორიტეტია. მხედველობაში მყავს ის პერსონები, რომლებიც ყოველდღიურად ჩანან ტელ-არხებზე და ზოგადად, ადამიანის უფლებებთან, საკონსტიტუციო ცვლილებებთან და ა.შ დაკავშირებით საზოგადოებას თავიანთ „ექსპერტულ“ დასკვნებს აცნობენ. რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, რომლის პოლიტიკური რეიტინგი ყველა კვლევის თანახმად, დღითიდღე იკლებს, შეიძლება, როგორც უსუსური და რეალურად ძალაუფლების არმქონე პოლიტიკური ძალა ამ პროცესების მიღმა აღმოჩნდეს, ხოლო საზოგადოების მხრიდან მასობრივი მღელვარებისა და პროტესტის ფონზე, კიევური მაიდანი მივიღოთ, რომლის სცენარიც თბილისში იწერება. სწორედ, ამ ჩანაფიქრის შედეგია დღისით, მზისით ადამიანების კვლა. დღეს, გაჩნდა კითხვა — ვინ იქნება შემდეგი? თუ ეს საქმეები დროულად არ გაიხსნება, თუ შესაძლო გამოწვევებთან დაკავშირებით პრევენცია დროულად არ ჩატარდება, ხვალ-ზეგ უკვე ძალიან გვიანი იქნება. ელემენტარულად, თუ მკვლელობების სერია გაგრძელდა, ხელისუფლება ჩამოიშლება. ხელისუფლებას არავინ გლოვობს, იგი შეიძლება, პოლიტიკური სივრციდან, უკვე დიდი ხანია გასაცილებელიცაა, მაგრამ უფლება არ გვაქვს თავად სახელმწიფოს არ გავუფრთხილდეთ. იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ ბავშვი ნაბან წყალს გადავაყოლოთ. თქვენ კითხვაში აღნიშნეთ, რომ ერმა მსგავსი რამ უკვე გამოიარა. თუ „მხედრიონის“ დროს თეთრი 09-ის მარკის უნომრო მა-



ნქანებით ხოცავდნენ ადამიანებს ქუჩაში, დღეს, ჩაფხუტიანი მოტოციკლეტისტები გაჩდნენ. პოლიტიკური ხასიათის მკვლელობები მაშინაც იყო. დღეს, ეს მკვლელობები, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მიზნად პოლიტიკური რეჟიმის ცვლილებას ისახავს. ამ ცვლილების მოსურნე დასავლური მოდელი ყველა შესაძლებლობას ებღაუჭება, რათა ხელისუფლების არაპროდასავლური პოლიტიკური კურსი ამხილოს.

**— რას გულისხმობთ, ვინ ცდილობს ხელისუფლებისთვის „ნიღბის ჩამოხსნას“?**

— ეს ძალიან საინტერესო მომენტია, მითუმეტეს, ალასანიას განცხადების ფონზე, როდესაც მან ივანიშვილი და ღარიბაშვილი ღიად დაადანაშაულა. ალასანია ჯერ კიდევ 2014 წლის გაზაფხულზე, წინასაარჩევნო პერიოდში საუბრობდა ქვეყანაში ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების დაყენების აუცილებლობაზე. თუმცა, ამავე პერიოდში, საქართველოში, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იმყოფებოდა, რომელსაც ამ კითხვაზე პასუხი არ აღმოაჩნდა. **როგორც ჩანს, ალასანიას ამ კურსის ლობირებასთან დაკავშირებით დირექტივები სულ სხვა კაბინეტებიდან ჰქონდა მიღებული და ეს საკითხი, ზოგადად, ნატოს წევრი სახელმწიფოების ლიდერების დონეზე შეთანხმებული არ იყო. მაშინ, მაია ფანჯიკიძემ პირდაპირ განაცხადა, რომ ეს ირაკლი ალასანიას პირადი მოსაზრება იყო და არა მთავრობის ოფიციალური პოზიცია. მაშინ, ყველას გვეგონა, რომ ალასანია ამ პროექტის გატანას საკუთარი ინიციატივით ცდილობდა და არა დასავლური კაბინეტების წარმომადგენელთა ერთი ნაწილის აქტიურობით. როგორც ჩანს, ყოველივე, მიზნად ისახავდა ამიერ-კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მეორე ფრონტის გახსნას, ავანტიურისტული ჩანაფიქრის მცდელობას, რაც დროში სწორედ დონბასის, ლუგანსკის და ყირიმში განვითარებულ პროცესებს ემთხვეოდა. ვფიქრობ, თუკი ივანიშვილმა და ღარიბაშვილმა მსგავსი შეთანხმების გაფორმებას მართლაც შეუშალეს ხელი, ამით, მათ, ქვეყანას მხოლოდ სიკეთე გაუკეთეს და სერიოზული საფრთხე აარიდეს.** გამოდის, ივანიშვილის შეწევნით, ძალიან სერიოზულ მაპროვოცირებელ ფაქტორებს ავცდით. ვინაიდან, ილუზია იმისა, რომ სამხედრო კონფრონტაციაში ჩაბმით საქართველო, რუსეთთან ომის პირობებში, თავის პოლიტიკურ ამოცანებს გადაჭრის, არამცთუ უტოპისტური და ილუზორულია, არამედ აბსოლუტურად ბრიყვულიც. 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა ეს ნათლად დაგვანახა. დასავლეთი ცდილობს, რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად, ყველა ღონე და ხერხი გამოიყენოს, იგი ეკონომიკურად დაასუსტოს, მოაქციოს სამხედრო ექსპანსიური და პოლიტიკური პროცესების ჭრილში, რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს მისი სახელმწიფოებრივი ჩამოშლა. ამ პროცესში, დასავლეთს, სწორედ, საქართველოს გამოყენება სურს. რას აძლევს ეს ჩვენს ქვეყანას — ხომ არ გვიქადის ალგვას პირისაგან მიწისა და ისედაც გაღატაკებული მოსახლეობის ქვეყნიდან საბოლოოდ განდევნას? ეს არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტია? ეს არის ჩვენი თვითმყობადობის შენარჩუნების გარანტია? ამ საკითხებზე, სამწუხაროდ, ალასანია ხმას არ იღებს.

**— რა ხდება თვითონ „ქართულ ოცნებში“? რატომ არის ის ასეთი ინერტული და ფლეგმატური?**

— გავიხსენოთ, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა იყო ის ბრენდი, რომელსაც ივანიშვილს ხელიდან ვერავინ ვეღარ ართმევდა, მაგრამ პირობა არ შესრულდა. დღეს, ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის აღდგენის თვალსაზრისით მიმართულება არათუ მკაფიო არაა, არამედ ჩნდება ეჭვი — „ქართული ოცნება“ ამ ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების მატარებელი ძალების გაერთიანებას და შემდგომში, ახალი უმრავლესობით, მათი მოსვლის მცდელობას ხომ არ ემსახურება. ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობას“ რეინკარნირებული ფორმით, „თავისუფალ დემოკრატებს“, რომლის ლიდერის ბრიფინგი „ნაცმოძრაობის“ რიტორიკისგან აბსოლუტურად არაფრით განსხვავდებოდა, და „რესპუბლიკელებს“, რომლებიც თავიანთ დროს მშვიდად, აუღელვებლად ელიან. ამავე დროს, იგულისხმება ის ძალებიც, რომლებიც მზად არიან მესამე, მეოთხე, მეხუთე ლოჟა გაინაწილონ და რომლებიც თვალსა და ხელს შუა ფორმირდებიან. მათ შორისაა ის ძალებიც, რომელთა ერთ დროს მთავარი ლოზუნგი —არა ნატოს, დღეს რადიკალურად შეიცვალა. თუ დავაკვირდებით, ივანიშვილი ამ ძალთა კონსოლიდაციას და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მათ მკაფიო ფორმირების ჩამოყალიბებას, ხელს უწყობს. 2016 წლამდე „ქართული ოცნება“, აბსოლუტურად, მაღალი რეიტინგი ექნება. ეს ვითარება იმ ორაგულს მაგონებს, რომელიც ზღვიდან მდინარეში შედის, რათა მის სათავეებს მიაღწიოს, დაყაროს ქვირითი და გამოჩეკილ ლიფსიტებს საკუთარი თავი შეაჭამოს. აი, ეს პროცესია და აქ, მნიშვნელოვანია ქართველმა ამომრჩეველმა თეთრი შავისგან გაარჩიოს და არ აყვეს რიტორიკას, რასაც ე.წ. პრო-დასავლელი ძალებისგან ვისმენთ. ჩვენ, ქვეყნის უბლოკო სტატუსზეც უნდა ვიფიქროთ. დავამთავროთ სამხედრო პოლიტიკურ ალიანსებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ვაჭრობა — ვისი წევრი უნდა იყოს საქართველო ევრაზიული კავშირის, შანხაის, ნატოს თუ ა.შ. ვფიქრობ, უბლოკო სტატუსის არსებობის პირობებში, საქართველოს, განვითარების განსაკუთრებული პოტენციალი ექნება.

**— რა გვჭირს, რატომ ვერ ჩამოვყალიბდით სამოქალაქო საზოგადოებად?**

— ეს კითხვა ყველა ნორმალურ ქართველს აწუხებს. სამწუხაროდ, როგორც სახელმწიფო ვერ შევდექით. ფორმალურად ვართ ქვეყანა, რომელსაც გააჩნია



გერბი, დროშა, ჰიმნი, მაგრამ სამწუხაროდ, ის კლასიკური ნიშნები, რაც ჩვენი სუვერენიტეტის განსაზღვრის მთავარი პირობაა, არ გვაქვს. ვგულისხმობ, დღემდე, საზღვრებთან დაკავშირებით მოუგვარებელ პრობლემებს — საზღვრის მხოლოდ 42%-ია დემარკირებული, ეს საშინელი განცდაა. საგარეო ვალმა კი 23 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც ქვეყანას, ეკონომიკურ-ფინანსური განვითარების თვალსაზრისით, ძალიან მძიმე მომავალით ემუქრება. ასევე, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნიდან უკან შემოუსვლელად გადის, საქართველო, დღემდე, კოლონიალისტური რეჟიმის მსხვერპლია. გამოსავალი თვითმყობადი პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა და უნარია. უნდა გავთავისუფლდეთ კლიშეებისგან, რომელსაც

16 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# აქა ამბავი შეშფოთებულთა და აღშფოთებულთა შესახებ



„შეშფოთებული ვართ იმ ამბით, რომ ყოფილი მთავრობის წევრებს დამატებითი ბრალი წაუყენეს, ან ბრალდების კვალიფიკაცია შეუცვალეს. ახალი ბრალდებები, განსაკუთრებით თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას წინააღმდეგ, წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ლიმიტისთვის გვერდის ავლის მცდელობას ჰგავს. მოვუწოდებთ საქართველოს მთავრობას, გადადგას ნაბიჯი კანონის უზენაესობის გასამტკიცებლად, რათა თავიდან აიცილოს ნებისმიერი აღქმა, რომ ის პოლიტიკურად მოტივირებული მართლმსაჯულების კამპანიაშია ჩართული" – განცხადება გაავრცელა აშშ-ის საელჩომ.

ვინ ამბობს ამ ფრაზებს და რა უფლებით?

იმ ქვეყნის საელჩო, რომელის ქვეყანასაც კაცობრიობის წინაშე აქვს ჩადენილი დანაშაული და დღემდე პასუხი არ აქვს ნაგები? 1945 წელს ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა ის ფაქტია, რომელსაც შეფასება არ მიცემია და სწორედ სამართლიანობის აღსადგენად უკვე ითხოვს ისტორიას. 150 000-იდან 246 000-მდე ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა ასე მისაფუჩეჩებელი არ არის!

**1833 წელს აშშ-ის არგენტინაში** შეჭრიდან დაწყებული, დღემდე არ დასრულებულა აშშ-ის შეჭრა სხვადასხვა მიზეზითა და მოტივით სხვადასხვა ქვეყნებში სამხედრო ოპერაციები, ინტერვენციები თუ სხვა ქვეყნის საშინაო პოლიტიკაში ჩარევები დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის სახელით, რასაც თან ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი სდევს.

აშშ ერთმანეთის მიყოლებითა და არაერთგზის შეჭრა ქვეყნებში: **არგენტინა, მექსიკა, პერუ, ფიჯი, ჩინეთი, ახალი გრენადა (კოლუმბია);** ინდოჩინეთის საარტილერიო დაბომბვა... ნიკარაგუას ქალაქი შან ჟუან ნორტე მხოლოდ იმიტომ გაასწორეს მიწასთან, რომ შური ეძიათ ამერიკელების შეურაცხყოფისთვის. ვეფხვის კუნძულის ოკუპირება, შეჭრა ურუგვაიში, პანამაში პანამის ყელის ხელში ჩასაგდებად; თავდასხმა იაპონიის ნავსადგურზე და შეჭრა ანგოლაში; ამერიკული დროშის შეურაცხყოფისთვის სადამსჯელო ექსპედიცია სიმონოსეკიში (იაპონია) და სამხედრო ექსპედიცია ვაჭრობის მომგებიანი პირობებისთვის; არაპროვოცირებული თავდასხმა მექსიკაზე, სადამსჯელო ექსპედიცია ჩინეთში, თავდასხმა მიდვეის კუნძულებზე; მრავალგზის შეჭრა იაპონიაში, ურუგვაისა და კოლუმბიაში; ჯარების შეყვანა ჩინეთსა და ჰავაის კუნძულებზე, შეჭრა მექსიკაში, თავდასხმა სამოას კუნძულებზე, ჯარების შეყვანა ეგვიპტეში, თავდასხმა კორეაზე.

**აშშ-ის შურისძიება იუგოსლავიაში 1946 წელს;**

**ჩინეთის დაბომბვა 1946-1949 წლებში;** იტალიის პროამერიკული ძალების დაფინანსება არჩევნების დროს, არჩევნების შედეგების გაყალბება და მასობრივი მკვლელობები პოლიტიკური ნიშნით ცსს-ის მიერ; იგივე ქმედებები და სამხედრო მხარდაჭერა საფრანგეთში, რასაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის დალუპვა მოჰყვა;

**კოსტა-რიკა, ალბანეთი, კორეა (1950-1953 წწ)** – მილიონამდე ამერიკელი ჯარისკაცის შეიარაღებული ინტერვენცია და ასობით ათასი კორეელის დალუპვა.

**ვიეტნამი, ბრიტანული გაიანა, ირანი, გვატემალა** – პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა აღიარა, რომ ვაშინგტონი არაერთხელ ერეოდა გვატემალას შიდა საქმეებში და სამოქალაქო ომში 200 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

**1983 წელი – გრენადა.** იმ მოტივით, რომ თითქოსდა კუნძულზე 1200 კუბელი კომანდოსი იმყოფებოდა აშშ-მა გრენადაში შეჭრის გადაწყვეტილება მიიღო და ასობით ადამიანი იმსხვერპლა. მალევე გაირკვა, რომ კუნძულზე კუბელთა საერთო რაოდენობა 200 კაციც არ იყო და მათგან მესამედი სამოქალაქო სპეციალისტი იყო.

**1983 წელი – ანგოლა.** 1984 წელი – ნიკარაგუა. როდესაც კონგრესმა ოფიციალურად აკრძალა ტერორისტებისთვის ფინანსური დახმარება ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ გაასაიდუმლა დაფინანსება და ეხმარებოდა ნიკარაგუას ანტისამთავრობო ძალებს. ნიკარაგუელები სწორედ მაშინ დაადგნენ თავზე ამერიკელებს, როდესაც ისინი ტიპიურ ტერორისტულ საქმიანობას აწარმოებდნენ, ნაღმავდნენ სამ ყურეს. როდესაც აშშ ამხილეს, შემთხვევა განიხილა საერთაშორისო სასამართლომ და აშშ-ს 18 მლრდ დოლარის გადახდა დააკისრა.

**1985 წელი – ჩადი.** აშშ-ის მხარდაჭერილი პრეზიდენტ ჰაბრეს რეპრესიული რეჟიმი აქტიურად იყენებდა წამების საშინელ მეთოდებს. რეჟიმის სწავლებას და დაფინანსებას აშშ უზრუნველჰყოფდა.

**1985 წელი – ჰონდურასი.** აშშ ნიკარაგუელი კონტრასების დახმარებით აგზავნიდა სამხედრო მრჩევლებს და ადამიანის წამების სპეციალისტებს, რომელთაც სახელი გაითქვეს არაადამიანური დაუნდობლობით.

**1986 წელი – ლიბია.** აშშ-მა დაბომბა ტრიპოლი და ბენღაზი, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა.

**1986 წელი – კოლუმბია.** „ნარკოტიკების წინააღმდეგ საბრძოლველად" დევიზის ქვეშ აშშ რეალურად მხარს უჭერდა პროამერიკულ რეჟიმს. აშშ-მა კოლუმბიას მასობრივად გადასცა სამხედრო ტექნიკა მას შემდეგ, რაც კოლუმბიის მთავრობამ ერთგულება დაუმტკიცა „სოციალური წმენდით". „წმენდისას" არაადამიანურად აწამებდნენ დაკავებულებს. „წმენდის" ნახევარწლიან პერიოდში მოკლეს 3000-ზე მეტი ადამიანი, რის შემდეგაც აშშ-მა გამოაცხადა, რომ ჩამოყალიბდა „დემოკრატიული მმართველობის ფორმა და არ არღვევს ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებულ უფლებებს"... 1988-1992 წლებში პოლიტიკური მოტივით მოკლეს 9500 ადამიანი, ამ რიცხვში არ შედის 313 მოკლული გლეხი და 830 დაკარგულად ჩათვლილი პოლიტაქტივისტი. მომდევნო ორ წელში პოლიტიკური ნიშნით მოკლულთა რიცხვი 2000-მდე გახდა.




**1987-1988 წლები** – აშშ დაეხმარა ერაყს ირანთან ომში არა მხოლოდ იარაღით, არამედ დაბომბვებითაც და მიაწოდა მასობრივი განადგურების იარაღი მომწამვლელი გაზის ჩათვლით, რომლითაც სადამ ჰუსეინმა მოწამლა თურქული სოფელი ჰა"აბჟა-ს 6000 მცხოვრები.

**1988 წელი – თურქეთი,** ქვეყნის პროამერიკულად განწყობილი მთავრობის სამხედრო მხარდაჭერა უკმაყოფილო ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიების დროს, როდესაც ფართოდ გამოიყენებოდა წამება ბავშვების ჩათვლით და დახოცეს ათასობით ადამიანი.



იმავე წელს აშშ-ის სამხედრო ხომალდმა „ვინსენსმა" ჩამოაგდო ირანული სამგზავრო თვითმფრინავი რომლის ბორტზე 57 ბავშვიც იყო. უფროსმა ბუშმა განაცხადა: „მე არასოდეს მოვიხდი ბოდიშს ამერიკის სახელით. მიმიფურთხებია ფაქტებისთვის..." მოგვიანებით აშშ-ის მთავრობამ სრულად აღიარა დანაშაული აღნიშნული არაადამიანური დანაშაულის ჩადენის გამო, მაგრამ არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება მატერიალური და მორალური ზარალის ასანაზღაურებლად, პირიქით, დაბომბა ირანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

**1989 წლი – პანამა.** აშშ-ის შეიარაღებული ინტერვენცია პანამაში. პრეზიდენტ ნორიეგას გამოკეტვა ამერიკულ ციხეში. დაიღუპა ათასობით პანამელი, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტებში მათი რიცხვი 560-მდე შემცირდა. გაერო-მ დაგმო ეს ოკუპაცია, აშშ-მა ვეტო დაადო, სსრკ არ ჩაერია საქმეში, უკვე დაწყებული იყო „პერესტროკის" დათმობის კურსი.

**1989 წელი – რუმინეთი.** თავდაპირველად აშშ კეთილად იყო განწყობილი ჩაუსეკუსადმი რადგან მხარი არ დაუჭირა სსრკ-ის შეჭრას ავღანეთში და 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიადის ბოიკოტს, მოითხოვდა ნატო-სა და ვარშავის ერთდროულ რეფორმირებას, მაგრამ 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც აშკარა გახდა, რომ არ უღალატებდა სოციალიზმის იდეას, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აქტიურად ჩაერთო მის დამხობასა და მკვლელობაში. ოპერაციის განხორციელება დაევალა ცსს-ის აღმ. ევროპის განყოფილების ხელმძღვანელს მილტონ ბორდენს. შემდეგში მან აღიარა, რომ „ოპერაცია" სანქცირებული იყო აშშ-ის მთავრობის მიერ – ჯერ დაამუშავეს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, დასავლეთის მედიაში ჩანერგილი აგენტების მეშვეობით გაავრცელეს ნეგატიური მასალები დიქტატორზე, რომლის ლაიტმოტივი იყო ის, რომ ჩაუშესკუ აწამებს ხალხს და ბოლოს, რამდენიმე მსოფლიო ტელეარხით ერთდ-

16 gv.



14 gv.

ათწლეულებია თავს გვახვევენ. გავიხსენოთ, 1990 წლის 28 ოქტომბერი, როდესაც ეროვნული ხელისუფლების არჩევის შესაძლებლობა გვქონდა, როგორ ვამაყობდით ამით, შემდეგ, როგორ ვერ გავუფრთხილდით ამ არჩევანს და როგორ შემოგვეპარა მტერი საკუთარ წიაღში — იმ ხელისუფლებაში რომელიც შეცდომებს, რა არის ჩვენი მთავარი ამოცანა, სტრატეგია და იზიარებენ თუ არა ამას ჩვენი მოძმე აფხაზები და ოსები. თუ გვინდა ეროვნული თანხმობის ჭრილში ვიაზროვნოთ, გამოსავალი სწორედ ესაა. ყველა სხვა შემთხვევა, თუ ის მარიონეტულ ჩარჩოებში გააგრძელებს არსებობას, სრულ კრახამდე მიგვიყვანს.

**— ახლა სამართლიანობის აღდგენა ახსენეთ. ბევრი მაღალ-**

ვინც ციხეში არ სხედან, ისინი, სიტუაციას გარედან მართავენ. საზოგადოების აზრით, სწორედ მათი უშუალო ჩარევის შედეგია ის პოლიტიკური ტერაქტები, რაც ქვეყანაში ხდება. კარგად გვესმის, რომ სააკაშვილმა მილიარდების გატანა შეძლო, მზადაა ძალაუფლება დაიბრუნოს, რაზეც ხმამაღლა საუბრობს. მეტიც, მას აშშ-ს, დასავლური ინსტიტუციების მხარდაჭერა აქვს. ეს მხარდაჭერა რეალურია. ამის დემონსტრირებაა ისიც, რომ უკრაინის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ ადამიანებს საკვანძო თანამდებობებზე ნიშნავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით ფორმალურად გაგზავნილი წერილები უკრაინის მთავარი პროკურატურისგან უარყოფილია, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირი დავით საყვარელიძეა — საქართველოს მოქმედი პარლამენტის წევრი, რომელმაც უფლებამოსილება შეიწყვიტა და დამნაშავე სააკაშვილის მორჩილებაში გადავიდა. დღესაც, ჩვენი ხელი-

# ხელისუფლებამ აღკვეთა ირაკლი ალასანიას პროვოკაციული ინიციატივა, საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნილიყო

ავირჩიეთ და როგორ გამოშიგნა ის ეროვნული და თვითმყობადი, რომლის შეუნარჩუნებლობის გამოც დღემდე ვისჯებით. ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა „ქართულ ოცნებას“ ჰქონოდა იმის პოლიტიკური ნება, რომ პარლამენტის თვითლიკვიდაცია მოეხდინა, მოეწვია უზენაესი საბჭო, რომელიც ქვეყანას ჯერ კიდევ შემორჩა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოცხადებულიყო. ამით, შემდეგის თქმა მინდა — როცა სამართლიანობის აღდგენაზე ვსაუბრობთ აქ, მხოლოდ, სააკაშვილის ქმედებების მძიმე შედეგები არ უნდა წარმოვიდგინოთ. პირველ რიგში, უნდა გავიაზროთ, რაც გვჭირს საკუთარი თავით გვჭირს — საიდან აღმოჩნდა სააკაშვილი ხელისუფლებაში, როგორ მოვიდა შევარდნაძე, ამას უნდა ჩავუღრმავდეთ. თუ სამართლიანობის აღდგენაზეა საუბარი, ერთადერთი სამართალი უნდა აღვადგინოთ — გვინდა რეალური ეროვნული თანხმობა? ვინც დასაჭერია უნდა დავიჭიროთ, მაგრამ ყველას სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ხომ არ უნდა გავყვეთ შთამომავლობით?! საჭიროა ეროვნული თანხმობა ფუნდამენტშივე ანუ იმ მომენტში იქნას აღდგენილი, სადაც წყვეტა მოხდა. ეს წყვეტა მოხდა სწორედ ეროვნული ხელისუფლების ქვეყნიდან განდევნის მომენტში. ამიტომ, საჭიროა უზენაესმა საბჭომ თუნდაც ერთი საათით იმუშაოს და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადოს, ქვეყანამ კი არსებობა იმ მომენტიდან გააგრძელოს, სადაც თავისი სახელი დაერქმევა პუტჩსაც, სამხედრო გადატრიალებასაც, აფხაზეთში, ცხინვალში განვითარებულ მოვლენებსაც და მთელი ერი შევთანხმდებით, მათ შორის, აფხაზებთან და ოსებთან ერთად, სად ვუშვებთ



**ჩინოსანი — უდესიანი, სააკაშვილი, კეზერაშვილი და სხვები ქვეყნიდან არჩევნების მერე „გაგვეპარნენ“ და მხოლოდ ამის მერე დავიწყეთ მათთვის ბრალის წაყენება. რას ნიშნავს ეს?**

— ხელისუფლებამ ბეწვის ხიდზე გაიარა, როცა საზოგადოების დაკვეთაზე — სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით რადიკალური ყოფილიყო, უარი თქვა, ხოლო მეორე მხრივ ყაბულს იყო დანაშაულებრივ რეჟიმთან მხოლოდ იმიტომ ეთანამშრომლა, რომ ამას დასავლეთი მოითხოვდა. კი, მერაბიშვილი, ახალაია და უგულავა საკანში აღმოჩდნენ. ეს კიდევ იქნებოდა გასაზიარებელი რომ არა სასამართლოს დამოკიდებულება მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეებზე — სამართალწარმოების პროცესში პროკურატურა გამიზნულ შეცდომებს უშვებდა, ბევრ საქმეში გამართლდნენ, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ხარკია, რომელსაც ისინი სიამოვნებით იხდიან. იმიტომ, რომ ციხეებიდან გამოვლენ და ოფშორებში თუ არა მილიარდები, მილიონები ელოდებათ. ასე, რომ ზოგიერთისთვის ციხეში ჯდომა სიცოცხლის გარანტიაცაა და მომავალი საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობაც. ხოლო სუფლებისგან, პროკურატურისგანაც არაორაზროვნად ისმის, რომ თურმე უკრაინა სუვერენული სახელმწიფოა და მის შიდა საქმეებში ჩარევა არ შეიძლება. ეს ხომ მართული პროცესია, ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი, დაწერილი სცენარით ვითარდება.

გამოსავალი ქართველი ამომრჩევლის მიერ პრო-ქართული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალების მოყვანაა. პროპაგანდისტულ მანქანას არ უნდა ავყვეთ. უნდა გვახსოვდეს, რომ „ნაცმოძრაობას“, „რუსთავი-2-“ის სახით, მნიშვნელოვანი, ძლიერი სატელეკომუნიკაციო საშუალება გააჩნია. რეალურად ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდისტული მანქანა ყველა ძირითად წამყვან ტელევიზიას ემყარება. ქართული საზოგადოება დამოუკიდებელ მედიასაშუალებებს მოკლებულია. ვრჩებით პრესის, ინტერნეტის, ალღოს და ინტუიციის ამარა. მნიშვნელოვანია, ალღომ არ გვიმტყუნოს. გვეშველება, თუ კონსოლიდაცია იმ იდეების გარშემო მოხდება, რასაც ილია, ზვიადი, მერაბ კოსტავა, ჩვენი წმინდა მეფეები შეეწირნენ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# აქა ამბავი შეშფოთებულთა და აღშფოთებულთა შესახებ

15 gv.

როულად გადაიცა სიუჟეტი რუმინეთის სპეცსამსახურის „სეკურიტატეს“ აგენტების მიერ ქალაქ ტიმიშუარეს მცხოვრებთა დახოცვის შესახებ, სადაც უნგრული წარმოშობის ხალხი ცხოვრობდა. ცსს-ის თანამშრომლებმა შემდეგდა აღიარეს, რომ ეს იყო კარგად გაკეთებული მონტაჟი — ყველა ბუნებრივი სიკვდილით იყო გარდაცვლილი, გვამები ადგილობრივი მორგებიდან მიიტანეს ტელეგადაღების ადგილზე. ჩაუშესკუსა და მისი ცოლის დახვრეტა წარმოდგენილი იყო როგორც რუმინელი ხალხის ნება, რეალურად კი ეს აშშ-ის მორიგი ოპერაცია იყო..

**1991 წელი** — ერაყი. აშშ-მა წამოიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია ერაყის წინააღმდეგ რომლის დროსაც დაიღუპა მინიმუმ 150 000 მშვიდობიანი მოქალაქე. მშვიდობიანი ობიექტების მიზანმიმართული დაბომბვა ერაყის მოსახლეობის დასაშინებლად ხორციელდებოდა — მეტი არაფერი...

**ქუვეითი, სომალის ოკუპაცია** — შეიარაღებული ძალადობა მშვიდობიან მოსახლეობაზე, რომლის დროსაც რამდენიმე ათასი ადამიანი დაიღუპა;

**ანგოლა** — ნავთობისა და დანამატების ინტერესის გამო აშშ-ის დაფინანსებულმა და იარაღით აღჭურვილმა პრეზიდენტობის კანდიდატმა არჩევნები მაინც წააგო და... დაიღუპა 650 000 ადამიანი. როდესაც აშშ-მა თავისი მიიღო, საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა „ფავორიტს“, მაგრამ უარი მიიღო. ამ დროს ითქვა ამერიკელი დიპლომატის მიერ ცნობილი ფრაზა „თოჯინების პრობლემა ის არის, რომ ისინი ყოველთვის არ რეაგირებენ, როცა ძაფს მოქაჩავენ“... დელს ყელი გამოჭრეს (საუბარია ხუტუს ხალხის ამოწყვეტაზე). რუანდის არმია აშშ-ის სახსრებით არსებობდა და ამერიკული ინსტრუქტორების მიერ იწვრთნებოდა.

**1995 წელი,** ისევ მექსიკა, შემდეგ ხორვატია, 6000 ათასი დახოცილი მშვიდობიანი მოქალაქე ისევ რუანდაში; კონგო, სუდანი...

**1998 წელი** — საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებით, გაეროსა და უშიშროების საბჭოს გვერდის ავლით, ნატო-ს ძალების გამოყენებით აშშ-მა დაიწყო იუგოსლავიის სუვერენული სახელმწიფოს 78-დღიანი საჰაერო დაბომბვა. 32 000 საბრძოლო გაფრენის დროს გამოყენებული იყო 21 000 ტონა ბომბები, რაც ჰიროსიმაზე ჩამოგდებული ატომური ბომბის სიმძლავრეს ოთხჯერ აღემატება...

**გადატრიალება ბელგრადში** და ამერიკელების საძულველი მილოშევიჩის ჩამოგდება; სერბების წინააღმდეგ თავიანთივე გაწვრთნილი ალბანელი ტერორისტების დევნა მაკედონიაში, სახალხო მღელვარების შიშით ისევ ჯარების შეყვანა ფილიპინებში, ვენესუელა...

**2003 წელი** — ისევ ფილიპინები, ერაყი, ლიბერია, სირია, სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, ისევ ჯარების შეყვანა ჰაიტზე, პროამერიკული სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში, ლიბიის დაბომბვები...

ამ ყველაფრის ჩამდენი ქვეყნის, აშშ-ის საელჩო როგორ უნდა ბედავდეს ხმის ამოღებას სხვა ქვეყნის დამნაშავეების დასაცავად, რა უფლებით? და უარესი — უკვე ღიად ერეოდეს დამოუკიდებელი და ვითომ მეგობარი ქვეყნის შიდა საქმეებში? (ევროპარლამენტის „ევროპის სახალხო პარტიის“ ფრაქციის თავმჯდომარის,



**1993-1996 წლები** – ბოსნია, სერბების დაბომბვები;

**1994-1996 წლები** — ერაყი — შიმშილითა და დაავადებებით იღუპებოდნენ მშვიდობიანი მოქალაქეები, არ წყდებოდა დაბომბვები, ტერაქტებს უწყობდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, რათა უკმაყოფილება გაძლიერებულიყო სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ.

**ჰაიტი, რუანდა** — ცსს-ის აგენტ ჯონას სავიმბას ხელმძღვანელობით 800 000-მდე რუან-

ვინმე მანფრედ ვებერის წერილობით წქნავილი ღარიბაშვილისადმი, რატომ დაუმძიმეთ უგულავას ბრალიო, მოსატანი აღარ არის. და საერთოდ, რატომ ჰგონიათ პრემიერი მოსამართლე?)

აშშ-ის საელჩო შეშფოთებული ყოფილა!

აბა, საქართველოს მოსახლეობას ჰკითხონ — შეშფოთებული კი არა, როგორი აღშფოთებულია. შედით სოციალურ ქსელებში და ნახეთ...

**გიორგი ჩხეიძე**

# „აზერ-ილმეს“ აზერბაიჯანული ხალიჩების გასაოცარი სამყარო და წიგნი „ყაზახ-ბორჩალოს რაიონის ხალიჩების მქსოველები“



ვიდალი მურადოვი

ქართველი მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გამოვიდა წიგნი-კატალოგი „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩების მქსოველები“. იგი წარმოგვიდგენს საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურული თანაარსებობის სახიერ მაგალითს. ეს გამოცემა მომზადდა სამეცნიერო-კვლევითი ფუნდამენტური პროექტის საფუძველზე, რომელიც განხორციელდა პროფესორ ვიდადი მურადოვის ხელმძღვანელობით. დაიბეჭდა აზერბაიჯანულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე და აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია როგორც სასწავლო სახელმძღვანელო.

შესავალ წერილში სამეცნიერო რედაქტორი აკადემიკოსი თემურ ბუდიანოვი მაღალ შეფასებას აძლევს გამოჩენილი ისტორიკოსის ქერემ მამედოვის ამ ნაშრომს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სარედაქციო საბჭოს წევრები არიან როგორც აზერბაიჯანელი, ასევე ქართველი ეთნოგრაფები და ხელოვნებათმცოდნეები.

წიგნში სრულყოფილად არის ასახული ხალიჩების ქსოვასთან, ხალიჩებით ვაჭრობასთან, მღებავ ოსტატებთან დაკავშირებული მასალები, რომლებიც მოპოვებულია აზერბაიჯანის ისეთ რაიონებში, როგორებიცაა აღსტაფა, ყაზახი, თოვუზი, აგრეთვე, აზერბაიჯანელებით დასახლებულ საქართველოს რაიონებში – ბოლნისში, დმანისში, თეთრწყაროში, მარნეულში. საინტერესოდაა მოთხრობილი ექსპედიციების კვლევების, ცალკეული რაიონების ისტორიული წარსულის შესახებ და ა.შ. გამოცემას ამდიდრებს ფოტოილუსტრაციები, რომლებიც დაცულია „აზერ-ილმეს“ კოლექციებში.



წიგნი-კატალოგი „ყაზახ-ბორჩალოს რეგიონის ხალიჩების მქსოველები“ განკუთვნილია როგორც ისტორიკოსებისთვის, ეთნოგრაფებისა და ხელოვნებათმცოდნეებისთვის, ასევე სტუდენტებისა მკითხველთა ფართო სპექტრისთვის.

ხალიჩების ქსოვის აზერბაიჯანული ხელოვნებას საუკუნეების წიაღში აქვს ფესვები გადგმული და იგი აზერბაიჯანელი ხალხის ისტორიის, მისი განუმეორებელი კულტურისა და ეროვნული იდენტურობის ამსახველია.

ხელოვნების ამ დარგის აღორძინებას იმთავითვე მიაქცია ყურადღება საერთოეროვნულმა ლიდერმა ჰეიდარ ალიევმა. მისი პოლიტიკა განაგრძო აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილხამ ალიევმა, რომლის ძალისხმევითაც შეიქმნა ხალიჩების ქსოვის საკანონმდებლო ბაზა, ამოქმედდა კანონი "აზერბაიჯანული ხალიჩების ხელოვნების დაცვისა და განვითარების შესახებ".

აზერბაიჯანული კულტურის საერთოდ და, კერძოდ, ხალიჩების ქსოვის ხელოვნების მსოფლიო ასპარეზზე პროპაგანდის საქმეს მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო ჰეიდარ ალიევის ფონდის პრეზიდენტმა, YUNESKO-სა და ISESKO-ს კეთილი ნების ელჩმა მეჰრიბან ალიევამ. 2010 წლის 16 ნოემბერს აზერბაიჯანული ხალიჩები შეიტანეს „იუნესკოს" კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის რეპრეზენტატიულ სიაში.

დღესდღეობით ხალიჩების ქსოვის აღდგენა-განვითარების საქმეში აქტიურად მოღვაწეობს კომპანია „აზერ-ილმე“, რომელმაც თავს იდო დასავიწყებლად განწირული ხალიჩების ორნამენტებისა და ხალიჩების ქსოვის ეროვნული ტრადიციების აღდგენა-შენარჩუნების კეთილშობილური მისია. სწორედ ამ კომპანიამ თანმიმდევრობით გახსნა სახელოსნოები ხალიჩების ქსოვის ისეთ ისტორიულ პუნქტებში, როგორებიც არის აბშერონი, ყარაბაღი, ყაზახი, გუბა, განჯა, ლერიკი, შირვანი, შაქი. დღეს "აზერ-ილმეს" კოლექტივი 700-ზე მეტ მუშაკს ითვლის, რომელთა შორის არიან ხალიჩაზე მხატვრები, ხალიჩების მქსოველი ოსტატები, რესტავრატორები და მღებავები, ხალიჩების ქსოვის პროფესიონალი მასწავლებლები.

ამ კომპანიის დამფუძნებელი და ხელმძღვანელია აზერბაიჯანის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის საკითხებში ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, კავკასიაში ხალიჩების ქსოვის ისტორიის მკვლევარი, ჟურნალ "აზერბაიჯანული ხალიჩების" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ვიდადი მურადოვი. მის მეცნიერულ კვლევებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აზერბაიჯანის ისტორიული ირევნის რაიონის კულტურისა და იდენტურობის აღდგენის საქმეში.

ამჟამად "აზერ-ილმე" ხელმძღვანელის ძალისხმევით კომპანიაში ჩამოყალიბდა სერიოზული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. სწორედ ამ ცენტრის მიერ განხორციელებული ფუნდამენტური კვლევითი საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი ხალიჩების ქსოვის ისტორიული ელემენტების აღდგენა და მათი მისადაგება აზერბაიჯანის ამა თუ იმ რეგიონის კულტურულ ტრადიციებთან. "აზერ-ილმეს" დამსახურებით სრულად შეივსო მეცნიერებასა და ხელოვნებაში აქამდე არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი. სწორედ ამ კვლევის შედეგებს ეფუძნება ხალიჩების ქსოვის აქ დამკვიდრებული პრაქტიკა.

ფერთა მდგრადობისა და ინტენსივობის გასაძლიერებლად საღებავებს ამატებენ მარილს, შაბს და სხვა შესაფერის ნივთიერებებს.

გაფორმება ხალიჩების შექმნის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. "აზერ-ილმეში" დასაქმებული არიან პროფესიონალი მხატვრები, რომლებსაც ღრმად აქვთ შესწავლილი ხალხური რეწვის საიდუმლოება, ქმნიან მომავალი ხალიჩების ნახატებს, წყვეტენ კოლორიტის საკითხებს, აზუსტებენ ფერთა გამას, ელფერს და ა.შ. კომპანიაში თანამედროვე თუ კლასიკური ხალიჩების 1000-მდე ნახატია მომზადებული. ეს ნამუშევრები იქმნება ხალიჩების ცალკეული ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ელემენტებით, იქსოვება ისეთი ნიმუშებიც, რომლებშიც შერწყმულია ორი და მეტი ჯგუფის ორნამენტები. ასე ცოცხლდება აზერბაიჯანელი ხალხის ის ხელოვნება, რომელიც ერთ დროს დავიწყების პირას იყო მისული.

აზერბაიჯანის ხალიჩების ქსოვის ცენტრებში პროფესორ ვიდადი მურადოვის ხელმძღვანელობით ჩატარებული საექსპედიციო კვლევებისა და "აზერ-ილმეს" კომპლექსურ ძიებათა მასალები საფუძვლად დაედო წიგნებს, რომლებიც გამოიცა აზერბაიჯანულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე. 2008 წელს მზის სინათლე იხილა გამოცემამ "აზერბაიჯანული ხალიჩები", 2010 წელს დაისტამბა "აზერბაიჯანული ხალიჩები. ყარაბაღის ჯგუფი". შემდეგი გამოცემების ქრონოლოგია ასეთია: 2011 წელი – რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, არაბულ ენებზე – "აზერბაიჯანული ხალიჩები. ირევანის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. ყარაბაღის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. თავრიზის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. შირვანის ჯგუფი"; 2012 წელი – "აზერბაიჯანული ხალიჩები. ნახიჩევანის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. გუბის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. ბაქოს ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. განჯის ჯგუფი", "აზერბაიჯანული ხალიჩები. ყაზახ-ბორჩალოს ჯგუფი". 2013 წელს – "აზერბაიჯანული ხალიჩების ხელოვნება" და „აზერბაიჯანული ხალიჩები. თავრიზის ჯგუფი" (გერმანულ, იტალიურ, თურქულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებსა და ივრითზე); 2014-2015 წლებში – ბროშურა "ირევანის ხალიჩები" და მონოგრაფია "აზერბაიჯანის ირევანის რეგიონი: ისტორია და ხალიჩები" (რუსულ და ინგლისურ ენებზე). ყველა ეს წიგნი მსოფლიოს მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში გაიგზავნა.

დროსთან ერთად იცვლებიან ადამიანები, იცვლება მათი გემოვნებაც. მაგრამ არის ისეთი ღირებულებანი, რომლებსაც დროთა სვლა ვერაფერს აკლებს. ისინი ყოველთვის და ყველგან ინარჩუნებენ თავიანთ აქტუალობას. ხალიჩა ერთ-ერთია ამ მუდმივ ღირებულებათა შორის. მას ძალუძს ეპოქის მაჯისცემის აღქმა, მუდმივად ცვალებადი მოდისთვის ფეხის აწყობა და საკუთარი სილამაზისა და პირველყოფილი სიფაქიზის შენარჩუნება.

**ირანდა კალანდაძე**
5 93 56 11 18

ფასიანი წერილი



# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!



გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-12

2007 წელს ბრიტანელების წარმოშობასთან დაკავშირებით ოპენჰეიმერმა განაცხადა: – ,,ვერც ანგლოსაქსებმა და ვერც კელტებმა ვერ მოახდინეს მნიშვნელოვანი გავლენა ბრიტანეთის კუნძულების გენეტიკაზე – ბრიტანელთა წარმოშობა ძირითადად მომდინარეობს პალეოლითის დროიდან იბერთაგან. ოპენჰაიმერმა თვალსაჩინოებისა და მტკიცებულებისთვის დადო ბრიტანეთის კუნძულების მოსახლეობის გენეტიკური მონაცემები და დადასტურებულად განაცხადა, რომ ბრიტანეთის მამრობით გენეტიკურ სახეობათა უმეტესობა მომდინარეობს იბერიიდან: დაბალ საზღვრებში – 59% ვეინკენჰემში და ნორფოლქში, მაქსიმუმი – 96% ლანგენფენში, ჩრდ. უელსი და 93% ქასლერში, ირლანდია.

საშუალოდ ინგლისში მხოლოდ 30% გენეტიკური სახეობისა მომდინარეობს ჩრდ-დს ევროპიდან... ბრიტანელების 75-95% წარმოშობით იბერიიდან არიან. ირლანდია, სანაპირო უელსი, ცენტრალური და დასავლეთი სანაპირო თითქმის სრულად შედგება იბერიელ მკვიდრთაგან.“

,,ბი-ბი-სი-ს“ მიერ გადაღებულ ბრიტანულ ფანტასტიკურ-სათავგადასავლო ჟანრის ფილმში ,,მერლინი“, რომლის პრემიერა 2008 წლის შემოდგომაზე შედგა, ერთ-ერთ სერიაში ქართული წარწერა გამოჩნდა. ფილმი ლეგენდარული ჯადოქრის, მერლინის ახალგაზრდობაზეა გადაღებული. ქართველი მაყურებელის ნაწილი აღშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართული დამწერლობა მაინცდამაინც ჯადოქრობასთან იყო დაკავშირებული, აღარ იციან საიდან შეუტიონ ჩვენ საოცარ ქვეყანასო.

ჯადოქრობა, ზოგადად, მიუღებელია ყველა რელიგიისთვის და დიდ ცოდვად ითვლება, მაგრამ ამავდროულად ფაქტია, რომ იმგვარი ოკულტური სწავლებაა, რომელიც მხოლოდ ერთეულებისთვისაა შესაწვდომი. ყველა მითსა და ლეგენდაში თუ უუძველეს ხალხთა ზღაპრებში არიან ჯადოქრები. ყველა შემთხვევაში, ეს არის მაგიური ცოდნა, რომლის გამოყენება დაფიქსირებულია საუკუნეების მთელი მდინარებისას.

ალქიმიკოსი, წინასწარმეტყველი, დრუიდი, პოლიტიკური მრჩეველი მერლინი (მირდინ უილტი, მერდინუს) მეფე ართურის ლეგენდის ნაწილია. რაც შეეხება ფილმში ქართული ასოების გამოჩენა-წარმოჩენას – როგორც ჩანს, ფილმის შემქმნელებისთვისაც ცნობილი იყო ის ყველაფერი, რაც უკვე აღვნიშნეთ (გაზეთის წინა ნომრებში) და სწორედაც რომ უნდა გამოჩენილიყო იმ ქვეყნის ასოები, რომელიც ართურის ხმალს ეწერა...




გენეტიკური განლაგება

ლეგენდა მეფე ართურზე აჩენს კითხვასაც: მართლა იყო იგი გრაალის (რადგან გვარიანი არეულობა შემოაქვს) მცველი? იყო თუ არ იყო, ფაქტობრივად, ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ იმ გრაალზეა საუბარი, რომლის შესახებაც არსებობს ლეგენდა, რომ ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს სხეული შესანახად გადასცეს ორ პირს (ამის შესახებ მხოლოდ მოკლედ ამბობს სახარება), ესენი იყვნენ ნიკოდემი და იოსებ არიმათიელი. იოსებ არიმათიელმა წმინდა გრაალის სიმბოლოები (ჯვარცმული ქრისტეს სისხლით სავსე თასი და შუბი, რომლითაც ქრისტეს ჭრილობები მიაყენეს და რომლის წვერიდანაც სისხლი მოწვეთავდა) წაიღო ინგლისში, გლასტონის ძველ ეკლესიაში, მაგრამ 1184 წელს გაჩნდა ხანძარი და ეკლესია ცეცხლში ჩაიფერფლა, თუმცა რელიქვიები არ დამწვარა, იგი უკვალოდ გაქრა.

გერმანელი მეცნიერი ჰერმან ფონ სკერსტი ამტკიცებს, რომ როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის ჭრილობებიდან სისხლი წვეთავდა, მისი ასტრალური სხეული ხატად განზოგადდა დედამიწაზე წმინდანებში, მათ შორის წმინდა ნინოში და რადგანაც სვეტიცხოველი წმინდა ნინოს მითითებით აშენებულია იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი დაიმარხა, სვეტიცხოველი გრაალის ტაძარია...

მეფე ართურის შესახებ ლეგენდას, როგორც აღვნიშნეთ, ახალი სიცოცხლე XII საუკუნიდან ჩაედგა. სწორედ ამ საუკუნის დასაწყისზეა საუბარი, რომ ,,ჯვაროსნებმა“ ხელთ იგდეს ,,ღვთის საიდუმლო“ ცოდნის ნაწილი და 1118 წელს იერუსალიმში დაარსდა ტემპლიერთა საძმოს საიდუმლო ორდენი. მათ შეიტყვეს, რომ დარჩენილი საიდუმლოს ცოდნის ნაწილს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერები ინახავდნენ, მაგრამ ბერებმა მოახერხეს მისი გატანა იერუსალიმიდან, თუმცა სად, ვერაფრით გაიგეს.

რა ვიცით დადასტურებულად ჩვენ, ქართველემა ამ პერიოდზე? ტემპლიერებში განხეთქილება მოხდა და ცალკე შეიქმნა რჩეულთა საძმო – როზენკრეიზერები, რომელთაც იტვირთეს განსაკუთრებული მისია, 1121 წლის ივლისში საქართველოში ჩამოვიდნენ (75 რაინდი, მათ შორის იერუსალიმის მეფე ბოლდუინ II) და საიდუმლო მოლაპარაკება გამართეს დავით IV-სთან, რადგან იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ეკუთვნოდა. მოლაპარაკების შედეგი, ცხადია, გულისხმობდა საიდუმლო ცოდნის გაერთიანებას და სამყაროს (ასეა მითითებული წყაროებში) დაპყრობის ძალას წარმოადგენდა. სხვათაშორის, 1121 წლის 12 აგვისტოს დიდგორის ომში რაინდებმაც იბრძოლეს, თუმცა ეს საძმოდან გარიცხული რაინდების თვალისასახვევად გაკეთდა (ამიტომ ამტკიცებენ ვიღაცები დღევანდელი ,,ნაციონალური მოძრაობის“ პარტიის დროშა ვითომ ქართულია, დავითისააოო?). დავით IV-მ ვერ შეძლო როზენკრეიზერებთან საიდუმლოს გაერთიანება, რადგან რამდენიმე ბერი განუდგა მეფეს, გაუჩინარდა და კვლავ დამალეს ცოდნა, რომლის გარეშეც მსოფლიო ბატონობა ვერ შედგება...



ქართული ასოები ბრიტანულ სერიალში



ჯვაროსნული ორდენის რაინდები

დაფარვის მიუხედავად, საძმოდან გარიცხულმა რაინდებმა გაიგეს როზენკრეიზერებისა და ქართველი მეფის საიდუმლო გარიგების ამბავი. მათ წმინდა ანტონის მონასტრის მახლობლად ცოცხლად დაწვეს დავით IV-სთან ნამყოფი 54 რაინდი, რომელთაც მართლაც არაფერი იცოდნენ საიდუმლოს მეორე, მთავარი ნაწილისა...

გამცემმა რაინდებმა იცოდნენ ჩინგის-ხანის ოცნება, რომ მსოფლიო ბატონობა სურდა და მასთან დაკავშირება შეძლეს, შეატყობინეს ქართველი ბერების საიდუმლო ცოდნის ფლობის შესახებ, რის შემდეგაც, ფაქტობრივად, საქართველოს დაუძინებელი მტერი გახადეს და არა მხოლოდ იგი. იმავე მიზნისთვის ილწვოდა თემურ-ლენგიც, მაგრამ ვერც დაყვავებითა და ვერც ძალადობით, ვერავინ მიაკვლია უფლის საიდუმლოების შემნახველი ქართველი ბერების დაფარული კვალის გამცემ ღვთისმსახურებს.




(გაგრძელება იქნება)







# თავსატეხი

ჰორიზონტალურად: აკორა, ბაჭია, ელიბო, ებაკა, ერიკა, ეამბა, ზოზია, იანკა, ლუსია, მასია, ფუფია, ლეკნი, შორეჭა, ძეგრი, წყალი, ჰერცი.

ვერტიკალურად: აკუნა, ანწლი, აჭილა, ანშლი, გუნია, ზურნა, თეონა, ონდრი, კეშუა, მეიკა, ოლიდა, პადრე, სინდი, ტაკნი, ფუშული, ქერჩი, ღონტე, ჩართე, ცეცხლი, ჭაკელი, ხარჯი.

# სამიდან ერთი

ვერტიკალურად: 1. გაჭუჭი, ჯაგუნა, მურჯა. 2. დარაჯა, ბეკერი, ჯაბუტი. 3. ხალაფი, გულიდი, კოკორი. 4. ბარდი, ჯურსი, სიმდი. 5. ქაშნი, დაისი, პორში. 6. კურძი, ბურთი, ლანდი. 11. კორსეტი, იამბაჟი, ფარდული. 12. პარკუჭი, ნიუტონი, ჯანდაბა. 13. კოჯორი, პანია, დანები. 14. საგანე, საკეცი, სიმდლი. 15. რაფელი, ბატონი, ვარანი. 16. ბაჭარი, ფიზიკა, ჭკონიბი.

ვერტიკალურად: 3. კაკანათი, სახალისო, კოზინაყი. 7. ფაკიტი, ჯაუდელი, მოდუელი. 8. ლამბათინი, კონპიური, კატალიზი. 9. ბოდიში, პეპელა, სალტორე. 10. ქვითინი, ტრაპეზი, კრაპერი. 13. ხარიხი, ნეჩენი, პასიკა. 17. კარტუში, კორსური, ტამბური. 18. ნაგარა, ჯოკოლა, მურიბე. 19. სტიქარი, პრიმერი, პლატინი. 20. სეტური, კანონი, ტუბერი. 21. სასელი, ტატიუცი, მონაკა.

# შიფრვორდი

| | |
|---|---|
| ა-4 | ს-3 |
| ბ- | ტ- |
| გ- | უ-5 |
| დ- | ფ- |
| ე-10 | ქ- |
| ვ- | ღ-11 |
| ზ- | ყ- |
| თ- | შ- |
| ი-7 | ჩ- |
| კ-29 | ც- |
| ლ- | ძ- |
| მ- | წ-24 |
| ნ- | ჭ- |
| ო-16 | ხ- |
| პ- | ჯ- |
| ჟ- | ჰ- |
| რ-1 | |

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ მიხეილ ხუბუტიას ძმის

**პაატა ხუბუტიას**



გარდაცვალების გამო.

გამოსვენება ხუთშაბათს 15 საათზე ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა

**ქოზიფას მამათა მონასტრის განვითარების ფონდი**



დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან — თიბისი ბანკი

**0 901 500 540** ა/ნ GE88TB1117236080100001

**davexmarоT jaba boj guas!**



საბანკო ანგარიშია GE22BR0000010381699630
ბანკი „რესპუბლიკა“
მანანა გვასალიას სახელზე.
ჯაბა ბოჯგუას დახმარების მსურველებმა
ბილაინის და მაგთის აბონენტებმა დარეკეთ
შემდეგ ნომერზე 0901 700 039
ტელ.: 599 40 00 13 მანანა გვასალია

## ენდეთ ლელას, გიმკურნალებთ!

ლელა დეკანოსიძე ნათლიამ (ლეილა ნადირაძემ) პატარაობიდანვე აზიარა წამალთმცოდნეობას. მოგვიანებით ნათლიამ თავისი რეცეპტები გადასცა და უთხრა: „თავის დროზე ეს „განძი“ დეიდაჩემმა გადმომცა და, იცი შენ, რამდენი გაჭირვებული მიხსნია უანგაროდ, მე არ მიფიქრია ამით გამდიდრება, არც შენ ხარ გულხარბი და ვიცი, ვის ხელშიც ვტოვებ ამ ჩანაწერებს“.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ვიდრე შვილები პატარები ჰყავდა, ლელამ თავისი ცოდნის რეალიზაცია ვერ მოახერხა. მაგრამ, როცა შვილები თავის გზას დაადგნენ, უფრო მეტი დრო დაუთმო სამკურნალო ბალახებს და ახლა მრავალი მადლიერი ადამიანის თბილი სიტყვებით იხალისებს ცხოვრების შემოდგომას. თუკი ვინმეს აწუხებს სოკო, ბუასილი, ქუსლებზე ნახეთქები, სახსრები, კუჭ-ნაწლავი, ჩირქოვანი გამონაყრები, ღრძილების დაავადებანი, ნაწოლები და სხვა, ლელას მალამოები უებარი წამალია. და რაც მთავარია, დაავადების ხარისხის მიხედვით ინდივიდუალური მალამოების დამზადება მრავალ ფიტოთერაპევტს არ ეხალისება, მაგრამ ლელას პირიქით, ასეთი მიდგომა ავადმყოფისადმი აუცილებლად მიაჩნია.

ლელას უამრავი ადამიანი ჰყავს განკურნებული თავისი მალამოებით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლელა დეკანოსიძეს შემდეგ ნომრებზე:
**571 05-94-39; 593 64-63-03; 2 67-32-06**

## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.**
**მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**
**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)**
**ტელ: 557 358 900, 34 21 63**

## ფრანგულ-ქართული საბავშვო ბაღი „პატარა უფლისწული“



ბაღი ფუნქციონირებს 2014 წლის 15 სექტემბრიდან. ბაღის სასიამოვნო გარემოში ბავშვები სწავლობენ ფრანგულს და აქვთ ხატვის, სიმღერის, ცეკვის, ჭადრაკის და თეატრალური თამაშების გაკვეთილები.პარატებს გაკვეთილებს უტარებენ სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის გამოცდილი მასწავლებლები.

„პატარა უფლისწული“ იღებს 3 დან 5 წლამდე ბავშვებს და მუშაობს 10 საათიდან 7 საათამდე.

**დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომრებზე:**
**595 727979 – ირინა ტერელაძე;**
**599 224328 – ქეთევან იოსელიანი**
**მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 11**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – აქტიური და ენერგიული გახდებით, ოპტიმისტური განწყობა დაგეუფლებათ.

**კურო** – ეს პერიოდი ეკონომიკურ სტაბილურობას მოგიტანთ. თამამად შეგიძლიათ, ხარჯოთ ფული. ფინნსური ოპერაციები ამჯერად ძალზე სარფიანად წარიმართება.

**ტყუპები** – შექმნილი ვითარება ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. გაგიჩნდებათ სურვილი, სიამოვნება მიანიჭოთ ყველას.

**კირჩხიბი** – ძალაუფლების და წინსვლის სურვილი თანამშრომლებთან სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს.

**ლომი** – ხელსაყრელი დროა განათლების დონის ასამაღლებლად. ენთუზიაზმი დაგეხმარებათ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებასა და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში.

**ქალწული** – აქტიური და ინტენსიური ურთიერთობები პარტნიორებთან შესამჩნევ პიროვნებებად გაქცევთ. გაგიჩნდებათ სურვილი, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.

**სასწორი** – თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ეკონომიკური სტაბილურობა, საჭიროა რამე პრინციპულად განსხვავებულს მოჰკიდოთ ხელი.

**მორიელი** – ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება ხშირად გიბიძგებთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღებისა და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ.

**მშვილდოსანი** – თქვენს ყურადღებას მთლიანად ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი კონომკური მდგომარეობიდან გამოსავალს იპოვით იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ პარტნიორებთან შეძლებთ კავშირის დამყარებას.

**თხის რქა** – თქვენი ყურადღება ძველ საქმეებზე იქნება მიპყრობილი. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას.

**მერწყული** – დროა, ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. ეს პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, თუმცა შეეცადეთ, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ.

**თევზები** – თქვენი სწრაფვა განახლებისკენ კონკრეტულ სახეს შეიძენს. მოგეცემათ შანსი, შეიცვალოთ ბინა, პროფესია ან სამუშაო ადგილი.

### ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:
### სკანვორდი

1.ჩონგური. 2. გაბროვო. 3. გრინვიჩი. 4. ბელადონა. 5. ველვეტი. 6. პარასოლი. 7. ეტაპი. 8. ფანასკერტელი. 9. ჟაკეტი. 10. გუნდარევა. 11. დიტერ. 12. პრინცი. 13. ჩაიკა. 14. პოლიგრაფი. 15. ხიხანი. 16. სოლი. 17. ხორვატია. 18. ხამსა. 19. ნავტილუსი. 20. ჯამი. 21, მერმისი. 22. ოვალი. 23. ვალი. 24. მერხი. 25. ჯანაშია. 26. ოლე. 27. ტიგრი. 28. შუშანია. 29. ულისე. 30. რედიკული. 31. გაბელია. 32. შუშაკი. 33. ტასო. 34. იაშინი. 35. ალბერ. 36. ხონი. 37. ინტერნი. 38. ჟელე. 39. შოშია. 40. კვალი. 41. შოკოლადი. 42. კარამაზოვები. 43. ვახტი. 44. ლამპიონი. 45. პიტი. 46. კიდმანი. 47. ატენური. 48. ილინჭა. 49. ეგეოსი. 50. კოპიტი. 51. ბაზელი. 52. გვანცა. 53. სანდრო. 54. პესო. 55. ხმიადი. 56. მადლი. 57. მაცა. 58. დარი. 59. პაროლი. 60. ბაია. 61. სკოჩი. 62. ჩახმახი. 63. პასი. 64. კლა. 65. კამელინი. 66. ბახმარო. 67. სურა. 68. სუთი. 69. ხალტურა. 70. დუნგა. 71. ანუკ. 72. ავთანდილი.

ISSN 2233-3983
9 772233 398001